

# ივერია

1884

№ № IX & X, სექტემბერი და ოქტომბერი

თბილისი.  
ექვთიმე სულაძის სტამბა.  
1884

*Handwritten notes in red ink:*  
No. 26/10/1884  
15/10/1884  
No. 26/10/1884  
15/10/1884

ზი ნ ა ა რ ს ი :

I. ძრიქანგი (ჯამქედა) ოსზ. მოღაერისა . . . . .	3
II. მოთხრობა სპარსეთისა და საქართველოს არეუ- ლობის თაობაზედ, ჰეისონელისა (ნათრემნი ფრან- ცუზუღადამ) . . . . .	43
III. წერილი ქიზიყილამ (კორესპოდენცია) მ. ნასიძისა	58
IV. სომხეთისა და საქართველოს დამოკიდებულება ვიზანტ. საზოგად. დამე X საუკ. კერძოდ (სტა- ტია დ. ბაქრამისა) . . . . .	71
V. სახალხო ლექსები. . . . .	109
VI საბაგელი იყო (მოთხრობა ჩესურის ცხოვრება- დამ) ნათ. ელ. მამუკაშვილისა. . . . .	113
VII. ბიბლიოგრაფია Известія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о кавказѣ. Собралъ и пе- ревелъ съ подлинниковъ К. Ганъ. Часть I. Отъ Гомера до 6-го столѣтїя по Р. X. Тифлисъ. 1884 г. (ცნობანი ძველთა ბერძენთა და რომაელ- თა მწერალთა კავკასიაზედ. შერობა და სთარგმნა ნამდვილიდგან კ. განმა. ნაწილი. I. ჰომიროსით ვიდ- რე 6 საუკუნემდე ქრისტეს აქეთ. ტფილისი 1884 წ.) . . . . .	121

0. 26

# ივერია

საკოლმეტიკო და სალიბრატურო  
ქუჩნალი

6049

წელიწადი მერვე

№ IX



თბილისი

უკეთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელოქოვის ქუჩაზე  
1884



Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Сентября 1884 г.

# პრიქანვი

კოპილია 5 მოქმედებად

თბზ. მოფიერისა

თბილისი ნიქიბოძე

ქიტიანი საბჭოთა

0.26

## მოძქმედნი ზირნი:

ჰარპაგონი, კლჳანტისა და ელიზას მამა და მარინას აწშიეი.

კლჳანტი, ჰარპაგონის შვილი და მარინას საყვარელი.

ელიზა, ჰარპაგონის ქალი და კალერის საყვარელი.

ვალერი, ანსელმის შვილი და ელიზას საყვარელი.

მარინა, კლჳანტის საყვარელი და ჰარპაგონის შეყვარებული.

ანსელმი, კალერისა და მარინას მამა.

ფროსინა, მაჰანკალი.

სვიმონ, შუამაკალი.

ჟაკი, ჰარპაგონის მოხარული და კუზკრი.

ლაჟლეში, კლჳანტის მსახური.

კლოდია, ჰარპაგონის მოახლე.

პრინდაკუანი და  
ლამერლიში { ჰარპაგონის მსახურები.

პოლიციის მოხელე.

იმის მწერალი.

## პირველი მოქმედება.

### ბამოსვლა პირველი

#### ვაღერი და ელიზა.

**ვაღერი.** რათ გადაგკრია ღრუბელი მაგ მშვენების სახეზედ, საყვარელო ელიზა? ნუ თუ ნანობ, რომ ჩემმა მსურველად სიყვარულმა შენ ეგ ფიცი გაგაბედვინა?

**ელიზა.** არა, ვაღერ, მე მაგას არა ვნანობ და არც თავიბ დღეში შევინანებ, რომ ჩემის სიტყვებით მე შენ გასამოკონო რამე. თუ გი შენ ჩემის გულისათვის თავი დაანებე შენს ოჯახს და აქ, ამ უცხო ქვეყანაში ჩემთან უფლისთვის არა სთავილობ მამა ჩემს მოსამსახურეთ დასდგომი და უოკელი იმისი უცნაური სურვილი აგესრულებინა, ნუ თუ მე მაგიერი არ უნდა გადაგიხადო. მაგრამ მე დარწმუნებული არა ვარ, რომ სხვებმატ ჩემს თვალით შემოგხედონ.

**ვაღერი.** ეგ სულ მეტია, რაც ესლა ჩამოსთვალე; მხოლოდ ჩემი სიყვარულია შენის ყურადღების ღირსი. თუ ხალხის ყაყანისა გეშინიან, თითონ მამა-შენივე კისრულობს ქვეყნის თვალში გაგამართლას. იმის სიკრთაყანგე, იმის ყანგანისა ქტევა თავის შვილებთან უფრო გასაკვირველსაქმეს გააბედვინებს კაცსა.

ელიზა. ეგ უკვალა კარგი, კალერი, მაგრამ რატომ არ ეტღე-  
ბი ჩემი ძმა მიამხრო? იმის შეწყენა საჭირო იქნება ჩვენ-  
თვის.

ვალერი. ორივეს გაძლოლა ძნელია. მამისა და შვილის სა-  
სიათი ისე შორის-შორის არის ერთმანეთთან, რომ მათი  
ერთად მოთავსება შეუძლებელია. მაგრამ შენ კი შენის  
მხრით ეტადე შენს ძმასთან და თქვენ ისეთი სიყვარული  
გაქვსთ ერთმანეთასა, რომ არა მგონია, რომ არ დაიყო-  
ლიო და ჩვენი მხარე არ დააჭურბნო. აგერ, ისიც მო-  
დის. მე წავალ. ესლა ლაშაჩაისათვის დრო გაქვს, მაგრამ  
იმას შეტს კი ნურას გაუმსელ, რასაც საჭიროდ დაინა-  
ხავ.

ელიზა. არ ვატი შეკადლებ ამ ამბის გამსელას თუ არა.

## გამოსვლა 2.

### კლევანტი და ელიზა.

კლევანტი. რა მოსარული ვარ, რომ აქ მარტოსა ვხვდავ  
დაო. გაცხარებული დაგეძებ სალაშაჩაიოდ და მინდა ერ-  
თი საიდუმლოება გაგიმხილო.

ელიზა. მე მზათა ვარ ყური დაგიგდო.

კლევანტი. ჩემი საიდუმლოება ერთს სიტყვაშია მოქცეული:  
მე მიყვარს.

ელიზა. შენ გაყვარს?

კლევანტი. სწორეთ, მე მიყვარს ერთი ქმნილება. მე ვიცი  
მამა მყავს და როგორც შეილი უნდა დავემორჩილო. მე



ვინც, რომ შიშობულთ დაუკითხავად არავის სიყვარული არ უნდა გამოვუცხადო. მე ვაინც, რომ ზეტამ ისინი დანიშნა ჩვენის სურვილის ბატონათ და იმათ უნებურად არც ერთს ჩვენს გულის-წადილს არ უნდა მივდიოთ. იმათ სიუმაწვილის ტრესლი არ უტვივის გულში და ჩვენსედ უფრო ძვირად შესცდებიან, ჩვენს შესაფერს ჩვენსედ უკედ სედვენ, ჩვენ უფრო იმათ გამოცდილებას უნდა დავუფეროთ, ვიდრე ჩვენს ვნებათ დედას; სმირად ვმასწვილური გატატება ბნელ უფსკრულში ჩავგვირის სოლმე. მე ეს ვეკლავ ვინც და ამიტომ ჩამოგითვალე ვეკლავიერი ესე დაწვრილებით, რომ შენ თავი აღარ შეიწუსო ამის გაქურებას; ეკ ტუფილი შრომა იქნება: ჩემი სიყვარული ბრძა და გოსოკ ვეკლავ საყვადურს თავი დანებო.

ელიზა. ჯერ შენი საყვარლისთვის სიტუვა სომ არ მიგიცია?

კლიანტი. ჯერ არა, მაგრამ მე ეკ გადაწვივტილი მაქვს და განმეორებით გოსოკ, ნუ მოინდომებ ამ გადაწვივტილებასედ უარი მათქმეინო.

ელიზა. განა ეგრე მიტნობ?

კლიანტი. არა დაო, მაგრამ შენ ჯერ არა ვინ გიყვარს; შენ არ იტნობ იმ ტუბილს ძალას, რომლითაც სიყვარული ჩვენს გულსედა მეუობს. მე მეშინიან შენის განვიტსვისა.

ელიზა. დავკსნათ, ძმაო, განვიტსკავსედ დანაარავს; ვინ არის იმისთანა, რომელიც ერთსელც არის თავის გრძნობას არ გაეტატოს? მე რომ ჩემი გული გადმოგიშალა, იქნება მე შენსედ უფრო გატატებული გექნეო.

კლიანტი. დმედთმა ჭქნას, რომ შენც მაგ ტეტსლს...

ელიზა. ჯერ შენი საქმე გავათათ. ხბა მითსარ; ვინ არის შენი საყვარელი?

კლევანტი. ეგ არის ერთი უმაწვილი ქალი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში სცხოვრობს. შეუძლებელია იმის მნახველს იმის სიყვარული არ ჩაუვარდეს გულში. ბუნებას იმაზედ ტურფა ქმნილება არ გაუჩინია. განსე თუ არა, მაშინვე აღტაცებაში მოგედი. სასულად ჭქვიან მარია-ნა; მარტო დედა-ღა ჭყავს, ერთი საწყალი დედა-კაცი, რომელიც სულ ავად-მყოფობს და რომელსაც ეს ნაწი ქმნილება ისე უკლის და უფთხილდება, რომ ვერ წარ-მოიდგენ; ისე ტკბილად ემსახურება, იბრალებს და ნუ-გეშს აძლევს, რომ ნახო, გულს აღვიძრავს; რასაც ვი-სელს მოჭკვიდებს, ყველას ხალისიანად, მადიანად აკეთებს. ყოველს იმის საქმეში გამოიხილენავეს იმის სიმშვენეიერე, იმის მიმზიდველი თავაზიანობა, იმის მომხიბლველი გულ-კეთილობა, იმის გასაცრინად პატიოსანი ქცევა, იმის... ახ, დაო, ნეტავი ვი შენ ის გაჩვენა!

ელიზა. იმის გასაცნობად ეგონა ვიძარა, რაც მითხარ. მე ვგრძნობ, რაც უნდა იყოს, რაკი შენ ის ეგრე გიყვარს.

კლევანტი. მე სხვის პირით შევიტყე, რომ ისინი ღარიბები არიან. წარმოიდგინე, რა სასიამოვნო უნდა იყოს, უშვე-ლო იმას, ვინც გიყვარს და იმის გაუგებლად შეუმსუბუ-ქო გაჭირებული მდგომარეობა. ასლა წარმოიდგინე, რა სიმწარეა ჩემთვის, რომ მამი-ჩემის სიძუნწით მოკლებუ-ლი ვარ ამ სიამოვნებას; მე საქმით ვერ ვუშტკვიებ ჩემს სიყვარულს იმ მშვენეირს ქმნილებას.

ელიზა. ვხედავ, ვხედავ ძმაო შენს მწუხარებას.

კლევანტი. ოჰ, დაო, ჩემი მწუხარება სასუსედე ეგრე არ მე-ტყობა, მე გულში სხვა დარდებიც მიტრიალებს, ერთი მითხარ, ასე სასტიკად მოქცევა გაგონიდა! ხედავ რომ-

გორ თვალ-ყურს ვგადავებენ. რომ მეტი არა დაიხარ-  
ჯოს-რა ჩვენზედ, როგორა გვტანჯვენ და გვაწალებენ  
ამ უზომო სიძუნწით. ერთის სიტყვით მე შენთან ლაშა-  
რავი იმიტომ მინდოდა, მეთხოვნა მამა-ჩემი ერთად გა-  
მოგვევითხა; ვნახათ რას იტყვის ამ საქმეზედ და თუ  
წინააღმდეგი გამიხდა, მე გადაწყვეტილი მაქვს გადავიარ-  
გო სადმე იმ ქალთან ერთად და სიამოვნებით ვიცხოვრო-  
როგორც დიერთი შემადლებინებს; მე ამ ჭაზრით ყველ-  
გან ვაძებნებ სასესხებელს თუღს; თუ შენი საქმე ჩემ-  
საა ჭკავს და თუ მამა-ჩემი ორივეს სურვილს წინააღმდეგ,  
ორივენი მოვშორდეთ და განვთავისუფლდეთ ამ ტანჯვი-  
საგან, რომელმაც მაგისმა უზომო სიძუნწემ ჩაგუყარა.  
ელიზა. მართლა რომ მამა-ჩვენმა ისე გაგვიხადა საქმე, რომ  
ყოველ-დღე დედა-ჩემს გავნატრებს და...  
კლინტი. ამის ხმა მესმის. პატარა თავი მოვარდით და  
ისე გავათათ ჩვენი ლაშარავი.

### გამოსვლა 3.

#### ჰარპაგონი და ლაქლეში.

ჰარპაგონი, ესლავ აქედგან დაიკარგე და აღარ გაბედა სი-  
ტყვის შემოტრუნება, გაუთრიე ეჭვად ესლავე შე წუწო, შე  
ჩამოსაღრჩობო.

ლაქლეში. (იჭით) ამ წყეული ბუბრისთანა არა მინახვს-რა-  
თუ ამას გვამში ეშმაკი არ უზის და მე აღარა ვიცი-რა-  
ჰარპაგონი. რას ბუტბუტებ მანდა?

**ლაცლემი.** რისთვის მაგდებ კარში?

**ჰარპაგონი.** განა მაგის მიხეზსაცა მკითხავ, შე არამზადა?

წადი აქედამ, თორემ უსიკვდილო ვერ გადამიჩნები.

**ლაცლემი.** რა დავაშაკე მერე სასიკვდილო?

**ჰარპაგონი.** ის დავაშაკე, რომ აქედამ უნდა გასვიდე.

**ლაცლემი.** ბატონო, თქვენმა შვილმა მიბძინა აქ მოკუცადო.

**ჰარპაგონი.** წადი და ქუჩაში მოუცადე; ჩემს სახლში კი ნუ-  
ღარ დგასარ კერე ჯირკვსავით განეკრებულე, რომ შეიტყო  
რა სდებს და მას უკან გამოიყენო. მე არ მინდა, რომ  
მუდამ თვალ-წინ ჩემას საქმეების მსვერავათ ერთი მო-  
ღალატე მყავდეს, რომელიც თავის დასაბრძოლებელის თვა-  
ლებით ყოველს ჩემს საქმეს დაძტერებია, თვალებითა  
სტამს, რაც რამ მბადაია და ყველგან გაფაციცებულე იტ-  
ქირება, რა არის მოსაზარავი, სომ არსად რა იქნება.

**ლაცლემი.** მოსაზარავი, ასე ჭგონია კერე ადვილი იყოს!  
განა თქვენ ადვილად გასაქურდა კაცი ხართ? ყველაფერი  
დაკეტილში გაქვთ შენახული და დღე-და-ღამ ყარაულობთ.

**ჰარპაგონი.** რასაც მინდა დაკეტილში შევინახამ და რასაც  
მინდა, ვუყარაულებ, გაგონილა ამისთანა ჯამში კაცს  
სახლში ჭყავდეს და ყოველისიყერს თვალა ადევროს? (იქით)  
ვაიმე თუ ჩემის ფულისაც შეიტყო რამე. (სმა-მალლა) შენ  
ისეთი კაცი ხარ, რომ წასკალ და ქვეყანას მოსდებ, ვი-  
თომ მე ფული მაქვს დამალული.

**ლაცლემი.** თქვენ ფული გაქვთ დამალული?

**ჰარპაგონი.** მაგას ვინ გეუბნება, შე მსეტრა?! (იქით) ბრძნი  
მომდის! (სმა-მალლა) მე იმას გეუბნები, რომ შენისთან-  
ა ვირ ეშმაკს არ გაუკვირდება ტყუილი ხმები დამიყა-  
როს.

ლაცხეში. ერთი მითხარით, ვის რა ენაღვლება, ფული გაქვთ, თუ არა გაქვთ? ჩვენთვის სულ ერთი არ არის?!

ჰარპაგონი. (სელს აიწვევს ლაცხეში სილის გასარტყემლად) შენც სჯაში ერევი? მე გინკენებ, სჯა როგორ უნდა, როცა მაგ ყურებს ავიწიწინი, გასწი, აქედამ დაიკარგე!

ლაცხეში. აჰა, მივდივარ!

ჰარპაგონი. მოიცა, თან სომ არა მ-გაქვს-რა?

ლაცხეში. თან რა უნდა მიმქონდეს?

ჰარპაგონი. მოდი ერთი დაგათვალიერო. გაშალე სელები.

ლაცხეში. აჰა, აჰა.

ჰარპაგონი. მეორე?

ლაცხეში. მეორე?

ჰარპაგონი. ჰო, მეორე.

ლაცხეში. აჰა, მეორეც.

ჰარპაგონი. (ლაცხეშის შარვალზედ უჩვენებს) ამაში რა გიღვებს?

ლაცხეში. თქვენ თითონ ნახეთ, რაც მიღვებს.

ჰარპაგონი. (შარვალს უშინჯავს) ეს განიერი შარვლანება თავიანთვე შარვლით უნდა ჩამოახრჩონ, ყველა ნაჭურდლის დამალვა შეიძლება ამათში.

ლაცხეში. ამისთანა კაცს ის უნდა მოუვიდეს, რისაც ეშინიან. რა მადლი იქნებოდა ამის გაჭურდვა.

ჰარპაგონი. რა?

ლაცხეში. როგორა?

ჰარპაგონი. გაჭურდვასედა რას ამბობ?

ლაცხეში. იმას კამბობდი, რომ ყველგან მხსრეკავთ. გინდათ შეიტყოთ, სომ არა მოგპარეთ-რა.

ჰარპაგონი. მნებავს და ვხსრეკავ. (ჯიბებში სელს ჩაუყოფს).

ლაცლემი. (იქით) ღმერთმა დასწყევლოს ძუნწი კაციცა და სიძუნწეც!

ჰარპაგონი. რა, რას ამბობ?

ლაცლემი. რას ვამბობ?

ჰარპაგონი. ჭო, რას ამბობ ძუნწს კაცზე და სიძუნწეზე?

ლაცლემი. მე ვამბობ, რომ ღმერთმა დასწყევლოს ძუნწი კაციცა და სიძუნწეცა მუთჳ.

ჰარპაგონი. ვიზედ ამბობ შენ მაგას?

ლაცლემი. ძუნწს კაცზე.

ჰარპაგონი. ვინ არის მერე ძუნწი?

ლაცლემი. ძალი და ღარი, მე რა ვიცი ვინ არის...

ჰარპაგონი. არა, ვიზედ ამბობ მერე მაგას?

ლაცლემი. თჳკენ რა, ვიზედაც ვამბობ.

ჰარპაგონი. მე რაც მგონია ის მე ვიცი; მაგრამ მე მინდა შეიტყუო, ვის ვუბნებოდი, ესაა რასაც დაჰარპაგონი?

ლაცლემი. მე ვუბნებოდი... ჩემს ჭყუდას.

ჰარპაგონი. მაშ მე თუ კაცი ვარ, შენს ყბებს გამოკვლავა-  
რებო.

ლაცლემი. დამიშლით განა, ძუნწი კაცი დასწყევლო.

ჰარპაგონი. მაგას მე არ დავიშლი, მაგრამ ყბელობას და თანხედობას გადაგჩვევ, თუ კაცი ვარ.

ლაცლემი. მე არავინ დამისახელებს.

ჰარპაგონი. კადეკ! გაუღახავი ვერ მომჩხები და თუ კიდევ ხმა ამოგიდას.

ლაცლემი. ვისაც ნიორი არ უჭამია, პირი რადი აუფროლდება.

ჰარპაგონი. აღარ განუძღები?

ლაცლემი. ბარემ სათქმელი ბევრი მაჭკს, მაგრამ უნდა გავ-  
ჩუძღე, მეტი რა გზა არის!



ჰარპაგონი. რა, რა?

ლაძლეში. (ანკენებს თავის გურტის ჯიბეს) აი ერთი ჯიბე კიდევ, არ გეოფათ ახლა?

ჰარპაგონი. მას მოიტა, მომეცე, ნულაქ გამაშინჯვინებ...

ლაძლეში. რა უნდა მოგცეთ?

ჰარპაგონი. რაც ხეგან მიგაქვს.

ლაძლეში. მე თქვენგან არაფერი არა მიმაქვს-რა.

ჰარპაგონი. მართლა?

ლაძლეში. მართლა.

ჰარპაგონი. მას წადი ჯანდაბას.

ლაძლეში. (იქით) კარგად არ მისტუმრებს?

ჰარპაგონი. შენს სინიდისზედ მიმიგდისარ. მას შენს სინიდისზედ მიმიგდისარ.

#### გამოსვლა 4.

#### ჰარპაგონი მარტო.

ღამის ჯავრით გამხეთქოს ამ სათოკე ბიჭმა; არაფრათ არ მეჭაშნიკება ამ წუწვი ძაღლის აქ გდება. მართლა რომ ძნელი ყოფილა სახლში ბეკრი ფულის შენახვა. ბედნიერი ის არის, ვისაც თავის ქონება კარგად აქვს გაცემული ღ შინ მარტო სახარჯო ფულს ინახავს. ძალიან გასაჭირია ვაი შესანახავი ალაგი იპოვო, თუნდ მთელს სახლში; რკინის ზანდუკებისა მეშინიან, ვერ ვენდობა. ისინი მე ჭურდუბის მასეთ გამოძადგებთან, შირკულათ იმათ მისცვივან.

## ზამოსვლა 5.

ჰარპაგონი, ელიზა და კლემენტი ერთმანეთს  
ელაპარაკებიან სცენის უკან.

ჰარპაგონი. (თავის-თავი მარტო ჰგონია) არ ვიცი, კარგადა  
ვქეზ, რომ ბაღში ჩავთვალდი ის ათასი თუმანი, გუშინ  
რომ დამიბრუნეს თუ არა? ათასი თუმნის რაჭრა შინ  
შესანახავათ დიდი... (დაინახავს ელიზასა და კლემენტს  
და თავის-თავად იტყუის) ვაიმე, მე ჩემი თავი თითონვე  
გამიმსვლია. გავცხარდი და მგონი ზმა-მალლა ლაპარაკი  
დავიწყე. (კლემენტს და ელიზას) რა გინდათ თქვენ აქ?

კლემენტი. არაფერი მძმა.

ჰარპაგონი. დიდი ხანია, რაც მანდა დგეხართ?

ელიზა. ეს არის ესლა მოკვდით.

ჰარპაგონი. თქვენ გაიგონეთ...

კლემენტი. რა?

ჰარპაგონი. ის...

ელიზა. რა?

ჰარპაგონი. რაცა ვთქვი.

კლემენტი. ჩვენ არა გაგვიგონია-რა.

ჰარპაგონი. როგორ არა, როგორ არა!

ელიზა. უგარავად, მძმა.

ჰარპაგონი. მე კარგადა ვსედავ, რომ ჩემის სიტუაციისათვის  
თქვენ უფრო მოგიგონათ. მე იმასედა ვლაპარაკობდი, რომ  
ესლანდელს დროში მნელა იფულის მოუნა და გამბობდი,  
რომ ბედნიერია, ვისაც სახლში ათასი თუმანი უძვეს მეთქი.



კლემენტი. ჩვენ ფეხ-აკრებით იმიტომ მოვდიოდით, რომ თქვენი ღაზაჩაკის დაშლას ვერიდებოდით.

ჰარპაგონი. მე მისწარიან, რომ ეს გაგაკებინეთ, თორემ შეიძლებოდა საქმე მრუდათ გვეწვენიყო და გვეფრათ, რომ ვითომ მე მქონდეს ათასი თუმანი ფული.

კლემენტი. თქვენი საქმეები ჩვენ რას შეგუეხება.

ჰარპაგონი. ახ, ნეტავი ერთი ათასი თუმანი მქონდეს.

კლემენტი. მე არა მგონია.

ჰარპაგონი. ურიგოდ არ მოვიხმარებდი.

ელიზა. ეგ უბრალო...

ჰარპაგონი. სწორედ რომ მეჭირვება ათასი თუმანი.

კლემენტი. მე მგონია რომ...

ჰარპაგონი. გამაკეთებდა, გამამდიდრებდა...

ელიზა. თქვენს სახტ.

ჰარპაგონი. მაშინ ჩივილს არ დაეიწყებდი და არ ვიტყვოდი საძაგული დრო დაგვიდგა მეოქო.

კლემენტი. მაინც არც ესლა შეგ შეენის ჩივილი: ყველამ იცის, რომ თქვენ სამეოფო გაქვთ.

ჰარპაგონი. როგორ თუ სამეოფო მაქვს! ტყუის, ვინც მაგას ამბობს!.. ეგ რა დასაწყურებელია! სულ ზაზააკები არიან, ვინც მაგისთანა ხმებსა ჰყრის.

ელიზა. რისთვისა ჯავრობთ ბატონო?

ჰარპაგონი. როგორ არ გაკვივრდე, რომ ჩემი დვილი შეიღები მლაატობენ და მტრათ მისდებიან.

კლემენტი. განა ეგ მტრობაა, რომ ვითხრათ სამეოფო გაქვთ?

ჰარპაგონი. მაშ რაა? ეგ სიტყვები და თქვენგან ფულების საჩუკა, იცით, რას დამმართებენ? მოკლენ ერთს დღეს და

ყელს გამოძიებინ; ასე ეგონებოთ სულ ოქროებში ვზივარ.

**კლევანტი.** რა ბუკის ფულებს მე ვსარჯავ!

**ჰარპაგონი.** რა ფულებსა?! ის რა არის რომ მოერთულ მოგმარულ კეპაყით ქალაქში დასეირნობ? გუშინ შენი და მაგის გულისათვის დავტუქსე, მაგრამ შენ კიდევ გადასწარბე. განა ღმერთი აიტანს მაგასა?! რაც თავით ფეხამდე გარწვით, ყველა რომ ინგარბოთ, დარბოს კაცს გაამდიდრებდა. ათასჯერ მითქვამს შენთვის, კლევანტი, რომ შენი ქრეა თვალში არ მომდის. ვაგიჟებით გინდა დიდ-კაცს დამეგზავსო და ეგრე მდიდრულად იცვამ და ისურვამ, ალბად ჩემგან მოხარულს ფულოთ.

**კლევანტი.** როგორ თქვენგან მოხარულს ფულოთ? ქალაქსათამაშობ და ამ თამაშობაში ვიგებ და რასაც ვიგებ, ყველაფერს ჩემსედა ვსარჯავ.

**ჰარპაგონი.** ძალიან ცუდად გიქნია. თუ თამაშობაში ბუდი გაქვს, უნდა მოხმარებაც იცოდე, უნდა წესიერი სარტებებელით გასცე მოგებული ფული, რომ ერთს დროს გამოგადგოს. სხვაზედ არას გეტყვი, უნდა ეს შემატყობინე რა უშმაკათ გინდა ეს ლენტები თავით ფეხამდე რომ დაგკონწიალობენ; ნახევარ დუყინი ქინძისთავი არ გმარა ამ შარვლის დასამაგრებლათ?! დიდად საჭიროა პარაკებზედ ფულის დახარჯვა, რადგანაც შენი რხერი თმა თავზედ ამოგდის უფასოდ, უარსად. თუნდა დაგუნამდეკებით, რომ ამ ლენტებზედ და პარაკებზედ ექვს თუმიანზედ მეტია დახარჯული და თუმიანი მანათათაც რომ გასცე წილიწადში, ამ შენი ექვსი მანათი.

**კლევანტი.** მართლსა ბძანებთ.

ჰარპაგონი. თავი დაგანებოთ მაცას. ახლა სხვა საქმე-  
ზედ ვილანაწაკოთ. (დაინახავს რომ კლუანტი და ელი-  
ზა ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ და იტყვის თავის-თა-  
ვით) მგონია ერთმანეთს ანიშნებენ ქისა მოკვანათო.  
(ხმა-მადლა) რაო, რას ანიშნებთ?

ელიზა. ორივეს თქვენთან რაღაც სათქმელი გვაქვს და ერთ-  
მანეთს ვაჩვენებთ, ანა ჯერ შენ უთხარი, ანა ჯერ შენაო.

ჰარპაგონი. მეც მაქვს რაღაც სათქმელი თქვენთან.

კლუანტი. ჩვენ ქარწინებსაზე უნდა მოგასხუენოთ რამე.

ჰარპაგონი. მეც მაგასზედ მინდა მოკუვანაწაკოთ.

ელიზა. ოჰ, მამა-ჩემო!

ჰარპაგონი. რასა ჭეუილი?

კლუანტი. ჩვენ გვეშინიან ქარწინებისა, მაშინ მსოფლოდ თუ  
თქვენ მოინდომებთ თქვენსებურად საქმის გარიგებას. ჩვენ  
გვეშინიან, ვაი თუ ჩვენი გული თქვენს აწიუელს ვერ  
შეეთვისოს?

ჰარპაგონი. ცოტა მოთმინება იქონიეთ. ნუ შეგეშინდებათ,  
მე ვინა ორივეს რაც გეჭირებათ და არც ერთი არ და-  
იწუნებთ ჩემს აწიუელს. დავიწყოთ თავიდან. (კლუანტს)  
ხომ არ გინახავს ერთი უმაწვილი ქალი, მარინა, აქვე  
ახლოს რო დგას.

კლუანტი. როგორ ანა, მამა.

ჰარპაგონი. შენა?

ელიზა. მეც გამოგონია.

ჰარპაგონი. როგორ მოგწონს ვალერ, შენ ის ქალი?

კლუანტი. ჩინებულა ქალია.

ჰარპაგონი. სახით როგორია?

კლუანტი. მშვენიერი, ჭკვიანი სახე აქვს.

ჰარპაგონი. შესედულობა და ქვევა?

კლევანტი. საუცხოვო.

ჰარპაგონი. როგორ გგონია, იმისთანა ქალი ღირსი არ  
არის, რომ გაცმა იმაზედ თვალი დაიჭიროს?

კლევანტი. სწორედ ღირსია, ძამა.

ჰარპაგონი. არც დასაწუნი საცოლოა.

კლევანტი. დასაწუნი გა არა, სანთლით მოსაძებნია.

ჰარპაგონი. სახეზედ ეტუობა, რომ სახლისა გაი გაძლოდა  
უნდა იცოდეს.

კლევანტი, მართლსა ბძანებთ.

ჰარპაგონი. იმისი ქმარა იმის გამყოფილი დაჩიება.

კლევანტი. უეჭველად.

ჰარპაგონი. მარტო ერთია სამიძო: მე არა გგონია იმდენი  
ჭკონდეს, რაც საჭიროა.

კლევანტი. მზითვეს როდი უნდა მიჭხედოს გაცმა, როცა შა-  
ტიოსანს ქალს ირთავს.

ჰარპაგონი. მაგას სტუფი, სტუფი; მაგრამ ისიც გაა, რომ  
თუ რაც საჭიროა. იმდენი არა აქვს, სხვა გზით შევიძლება  
მზითვის შესრულებას.

კლევანტი. რასაკვირველია.

ჰარპაგონი. მე მისარბან, რომ თქვენ ყველაფერზედ მეთან-  
სებით. იმისმა პატიოსანმა ქვევამ და კეთილმა სასათბა  
გულში ისარი გამოყარა და მე გადავწვიტე ის ცოლად  
შევიერთო, თუ მზითვეი აქვს რამე.

კლევანტი. ეჭვ!

ჰარპაგონი. რა?

კლევანტი. თქვენ გადასწვიტეთ...

ჰარპაგონი. მარბანსა შერთვა.

კლენტი. ვინა! თქვენა, თქვენა?

ჰარპაგონი. ჰო, მე, მე, რა მოგდის, ერთი მითხარი.

კლენტი. არაფერი; უცბათ თვალებზედ ბინდა გადამეკრა; უნდა წავიდე აქედან.

ჰარპაგონი. მაგით არა გიჭირს-რა. წადი სამზარეულოში, ერთი სტაქანი ცივი წყალი დალიე.

## ბამოსვლა 6.

### ჰარპაგონი და ელიზა.

ჰარპაგონი. რა სნეულები არიან ესდანდელი ყმაწვილები; ქათმის ღონე არა აქვთ. აი, შვილო, ჩემი გარდაწვევტილება. შენს ძმასაც ერთი ქვრივი მინდა შეკრთო, რომელზედაც დღეს დიდით მეღაზნაგენენ. შენ კი ანსუელმს მინდა მიგათხოვო.

ელიზა. ანსუელმსა?!

ჰარპაგონი. ჰო, ანსუელმსა; კაცს მოწითუელს, ჭკვიანის და გონიერს; ორმოც-და-ათი წლისა ძლივს იქნება და შემდეგსაც კარგს უქებენ.

ელიზა. (თავს დაუგრავს) თუ თქვენი ნებაც იქნება, მე მსურს გაუთხოვარი დავჩქე.

ჰარპაგონი. (გააჭვარებს ელიზას) თუ თქვენი ნებაც იქნება, ქალ-ბატონო, მე მსურს გაგათხოვო.

ელიზა. (თავს დაუგრავს კიდევ) ნურას უკაცრავათ ბატონო.

ჰარპაგონი. (კიდევ გააჭვარებს) ნურას უკაცრავათ ქალ-ბატონო.

ელიზა. მე დიდი პატივისცემა მაქვს ბატონ ანსუელმისა,

მაგრამ (თავს დაუგრავს), თუ თქვენი ნებაც იქნება, მე  
იმას ვერ შევირთამ.

ჰარპაგონი. მეც თქვენი დიდი პატივის-ცემის მაქვს, მაგრამ  
(გააჟავრებს), თუ თქვენი ნებაც იქნება, ამაღამვე იმასუდ  
ჟვარს დაიწერთ.

ელიზა. ამაღამვე!

ჰარპაგონი. დიად, ამაღამვე.

ელიზა. (თავს დაუგრავს) ეგ შეუძლებელია მამა-ჩემო.

ჰარპაგონი. ეგ შესაძლებელია და მოხდება კიდევ, ქალ-ბატონო.

ელიზა. ვერ მოხდება.

ჰარპაგონი. მოხდება.

ელიზა. ვერა მეთქი,

ჰარპაგონი. ჭო, მეთქი.

ელიზა. მაგასუდ თავის დღეში ვერ დამიყოფიებთ.

ჰარპაგონი. მაგასუდ მე თქვენ დაგიყოფიებთ.

ელიზა. მე სიკვდილს ვირჩევ მაგისთანა ქმრის შერთვას.

ჰარპაგონი. არც სიკვდილს ირჩევ და შეიწთავ კიდევ. და-  
სედეთ ამ უსიბრცვილსას; უნახავს ვისმეს, რომ ქალი  
თავის მამას ასე თავს უყადრებდეს?!

ელიზა. ის ვიღას უნახავს, რომ მამა თავის ქალს ასე აოსო-  
ვებდეს.

ჰარპაგონი. ის იმისთანა ვაჯია, რომ წინააღმდეგს კერავინ  
იტყვიან; მე, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მოი-  
წონებს ჩემს არჩევალს.

ელიზა. მე გი დარწმუნებული ვარ, რომ არავინ არ მოიწო-  
ნებს, ვისაც გოგრა ცარიელი არა აქვს.

ჰარპაგონი. (დანახავს ვაჯერს შორიდან) აი ვაჯერის; გინდა  
ამ საქმეში ეგ უფა მდგომელია ჩამოკვეთოთ მე და შენში.

ეღვიზა. ბატონი ბძანდებით.

ჰარპაგონი. მე რე იმის გადაწყვეტილებას დათანხმდები.

ეღვიზა. დაუთანხმდები.

ჰარპაგონი. მას კარგი.

## ბაგოსვლა 7.

ვალერი, ჰარპაგონი და ეღვიზა.

ჰარპაგონი. აქ მოდი ვალერ. მე და ჩემმა ქალმა შენ შუა  
კაცად ამოგიჩინეთ. შენ უნდა გააჩიო, ვინ არის მტყუა-  
ნი და ვინ მართალი.

ვალერი. რაღა თქმა უნდა, რომ თქვენ იქნებით მართალი.

ჰარპაგონი. იცით, რაზედ ვლავარაკობთ?

ვალერი. არა, მაგრამ თქვენ თავის დღეში მტყუანი არ გა-  
მოსვალთ, რადგან თქვენ თითონ სიმართლე ბძანდებით.

ჰარპაგონი. მე ამაღამ მინდა მაგას ერთი მდიდარი და ჭკვიან-  
ნი კაცი შეერთო და ეგ ურცხვი, ჰინში მეუბნება, რომ  
მე ეგ არ მეზიანება. რას იტყვი ამზედ?

ვალერი. რას ვიტყვი?

ჰარპაგონი. ჰო, რას იტყვი?

ვალერი. ჰმ, ჰმ!

ჰარპაგონი. რას ამბობ?

ვალერი. მე ვამბობ, რომ თუმცა მაგ საქმეში მე თქვენთან  
თანახმა ვარ, რადგან თქვენ ურიგო საქმეს არ მოაქმე-  
დებთ, მაგრამ არც ეგ არის სრული მტყუანი და...

ჰარპაგონი. როგორ თუ მტყუანი არ არის! ანსულმი ჩინე-



ბული საქმითა. ის არის აწინაურშილი, ზრდილობიანი, კეთილი, ჭკვიანი, შეძლებული და დამჯდარი კაცი; ამას გარდა პირველი ცოლისა ერთი შვილი არა ჰყავს. უბოესს აბა ვის აბოჯის?

**ვაღერი.** ეგ მართალია, მაგრამ მაგასაც შეუძლიან გითხრასთ, რომ ეგ ძლიერ აჩქარებული საქმე იქნება და ცოტა დრო უნდა, კანმა შეიტყოს, მიუყა გული იმას...

**ჰარპაგონი.** ეს იმისთანა შემთხვევაა, რომ სანქაროზე უნდა კუდზედ მოკტიდო. მე აქ ვიდეკ ერთს სარგებლობასა კესდავ, რომელსაც სსვა შემთხვევაში მოკლებული ვიქნებოდი; ის ყაბულს არის უმწითვოდ შეაწითოს.

**ვაღერი.** უმწითვოდ?

**ჰარპაგონი.** სწორედ უმწითვოდ.

**ვაღერი.** მას მე სმა უნდა გაკვირვინდო. ეგ ისეთი საბუთია; რომ წინააღმდეგს ვერაინ არს იტყვის; დავძოწნილდეთ.

**ჰარპაგონი.** ეგ დიდი სარფაა ჩემთვის.

**ვაღერი.** მართალია. მაგასევე ლაზარაგი მეტია. მართალია, თქვენმა ქალმა შეძლება გიშასუხოთ, რომ ქმრის შერთვა ისეთი მცირე საქმე არ არის, რაგონც ზოგინათს ჭკონაა, რომ მაგასევე ჭკიდა კაცის ბედნიერება და უბედურება და იმისთანა პირობის შეკვრა, რომელიც სიკვდილამდე დაურღვევია, დიდის სიფრთხილით უნდა მოხდეს.

**ჰარპაგონი.** უმწითვოდ.

**ვაღერი.** მართლსა ბანებთ; სულ მაგასევე და დამოკიდებული; მართალია, ზოგთ შეუძლიანთ გითხრან, რომ მაგისთანა შემთხვევაში ქალის გულსაც უბჭველად უნდა დაეკითხოს დამიანი და სანის, სასათის, გრძნობის უთანასწორობას შეუძლიან უსამოკუნება ჩამოაგდოს, ცოლ-ქმარს შუა:



ჭარბაგონი. უმზითვოდ!

ვაღერი. აშკარაა, რომ მე მაგის წინააღმდეგი არა მეთქმის-  
რა; რა უშაკი დაუდგება მაგ საბუთს წინა?! მაგრამ არიან  
იმისთანა მძები, რომელთაც თავიანთი ქალების სურვი-  
ლის შესრულება უჩვენებენთ მზითვად მიცემულს ფულს;  
არიან იმისთანანი, რომელნიც თავიანთ შვილებს სა-  
გებულს მსკვრებლად არ შესწირენ და მონახვენ უფრო  
იმისთანა საქმროს, რომ ცოლ-ქმარს შუა არ იყოს სხვა-  
და-სხვაობა, რომელიც ამხობს პატრონებს, მშვიდო-  
ბიანობას და სიხარულს და რომ...

ჭარბაგონი. უ-მ-ზ-ი-თ-ვ-ო-დ!

ვაღერი. მართლაც, რა სიტყვა «უმზითვოდ» გაცხადებდა  
ბუროსა სწორს; მაგას წინ რა დაუდგება?

ჭარბაგონი. (ბადისგენ) ოჰო, მე მგონია, ეს ძაღლის ყე-  
ფის სმაა; იქნება ჩემს ფულს ეზარებინა! (ვაღერს) ნურ-  
სად წასვალ, ესლავუ დავბრუნდები.

### ბამოსვლა 8.

ეფიზა და ვაღერი.

ეფიზა. მასხარაობ, ვაღერ, შენ გაზღას, თუ რა არის?

ვაღერი. მე ის მინდა, რომ არ გავაცხარო და მით უფრო  
ჩემი გულის წაღილი შევიხრულო. მაგის აზრებს რომ  
წინააღმდეგი გაკუნდე, საქმე სულ წასდება.

ეფიზა. ამ საქმროს აღმოჩენვას რაღა ვუყოთ?

ვაღერი. უნდა ხერხით დავაშლევინოთ.

ელიზა. მერე რა სერსს ვისმართ, თუ ამალამკე უნდა მოს-  
დეს?

ვალერი. უნდა თავი მოიკად-მყოფო და გადაადგებინო.

ელიზა. მერე ექიმს რა დაუძახონ, ხომ შემატყობენ ტყუილ  
ავად-მყოფობას.

ვალერი. კაია, შენს გაზრდას, ექიმებს ავად-მყოფობისა რა  
გაეკებათ? რა ტყუილი ავად-მყოფობაც უნდა დაიქმო,  
შენი ჭირიძე, ენა ხაუვარდებათ და ვერ ვეტყვიან ამა და  
ამ მიწეზისაგან მოსკლათ.

## ბამოსვლა 9.

ჭარვაგონი, ელიზა და ვალერი.

ჭარვაგონი. (იქით) მადლობა ღმერთსა, ანა იყო-რა.

ვალერი. (ჭარვაგონს ვერა სედავს) თუ აღარა და აღარ იქნა,  
მაშინ ესლა დაგვრჩენია, რომ გაეიქნეთ და ვკვლავფერს  
თავი მოკარდილოთ; თუ შენი სიყვარული მაგ სიმტკიცეს  
გამოიჩინა... (ჭარვაგონს დანინსავს) დიად, რიგი და  
მართებულბაას, რომ ქალი მამას ემოჩნილებოდეს: ქალმა  
უნდა მიჭხედოს, რაგორია იმისი საქმრო და, თუ დაურ-  
ღვეკედი საბუთი «უმზითვოდ» შედ ემატება, უნდა შე-  
ირთოს, ვისზედაც მიუთითებენ.

ჭარვაგონი. აი ბარაქადა! აი ღამანაკი ესე უნდა!

ვალერი. უკაცნავად გასლავარ თქვენთან, ბატონო, რომ ესე  
გავცნარდი და კადნიერად ვკლავანაკები თქვენს ქალსა.

ჭარვაგონი. რა ბოდიშს იხდი. მე ის მინდა, რომ შენ ეგ

დაიმორჩილო. (კლიზას) ტყუილად მიზიხარო; რაღა მე შენზედ უფლება მაქვს, ყველას ამას ვანებებ და გიბძანებ, რომ, რაღა გითხრას, ყოველისთერი აღუსრულე ვაღერი. ამის შემდეგაც ჩემს კედლებსაც არ შეისმენ?

### გამოსვლა 10.

#### ჰარპაგონი და ვაღერი.

ვაღერი. მე წაუყვები თქვენ ქალს, რომ ჩემი დარბიება არ შეეწყობო.

ჰარპაგონი. ეგრე ჰქენ, ძალიან დამავალბე, სწორედ...

ვაღერი. კარგი იქნება პატარა აღვირი ამოკუჭიროთ.

ჰარპაგონი. მართლაც ამბობ, ეგ საჭიროა.

ვაღერი. თქვენ ნუ შესწუხდებით, მე თითონ გავაკრიგებ.

ჰარპაგონი. მას წადი, ნუღარ უყურებ. მე წავალ, ქალაქში საქმეები მაქვს და ისევ მალე დაებრუნდები.

ვაღერი. (წავა იქით მხარეს, საითაც კლიზა გავიდა და გაჰყვიროს) დიად, ფული ყოველს ჭკუენიერს ქმნილებასზედ უფრო ძვირფასია. თქვენ ღმერთს მადლობა უნდა შესწიროთ, რომ მამა-თქვენი მაგისტრანს კაცსა გრთამს. მამა-თქვენმა იცის ცხოვრება რა არის; როდესაც თანხმდება კინზე ქალის უმზითვოდ შერთვას, სხვას არასდროს არ უნდა მიჰხედო; ყველა ამ სიტყვამა მოქრეული: აუმიზითვოდ. და ეს სიტყვა კმარა სილამაზეთაც, ჭკუათაც და გონებთაც.

ჭარბგონი. აი, უჩინადი კაცი სწორედ წინასწარმეტყველსა-  
ვით ღაპანაკობს. ბედნიერია, ვისაც ამისთანა მსახური  
ახლავს.

(დასასრული პირველი მოქმედებისა).

## მოქმედება 2-რე.

### ბამოსვლა 1.

#### კლეანტი და ლაჭღლეში.

**კლეანტი.** სად დაიღუპე, შე მუსხანათო! მე შენ არ გაბძანე...  
**ლაჭღლეში.** მიბძანე ბატონო და შესრულებასაც ვაძიებდი;  
მაგრამ თქვენმა გადაწყველმა მამამ ჰანჩუჩის კერით გა-  
მომაგდო, და ცემასაც ძლივს გადავურჩი.

**კლეანტი.** როგორ მიღის ჩვენი საქმე? ძალიან აჩქარება უნდა,  
შენი წასვლის შემდეგ შევიტყე, რომ მამაჩემი ჩემი მო-  
ტილე ყოფილა და იმასაც ის უყვარს, ვინც მე მიყვარს.

**ლაჭღლეში.** განა მამა თქვენსაც სიყვარული შეუძლიან?

**კლეანტი.** ახა ეგა თქვა და! ძლივს დაგუმალე ჩემის გულის  
ტანჯვა, ეს ამბავი რომ გავიგე!

**ლაჭღლეში.** ისიც სიყვარულში ერევა?! რა უშმაკს გაუგოე-  
ბოა? ქვეყანას დასტინის თუ! განა სიყვარული მაგისთანა  
კაცისათვის არის გაჩენილი?

**კლეანტი.** ალბათ ეგეტ ჩემი ცოდვის კითხვა!

**ლაჭღლეში.** მე რე, რად უმაღავთ იმას თქვენ სიყვარულს?

**კლეანტი.** თუ გაიგო, გზებს ისე დაგვიხლართავს, რომ საქმე  
სულიდამ წაგვიკავ. ახლა ერთი შენ ეს მითხარი, საქმისა  
რა ქვენ?

**ლაჭღლეში.** ჭეშმარიტად, დიდად უბედურნი არიან ვალის

ამლებნი; ბეჭი თავის დამცირება უნდა მოითმინოს, ვინც თქვენსავით მოვალეს ხელში ჩავარდება.

**კლიანტი.** მას საქმე არ ხერხდება?

**ლაძლეში.** მოითმინეთ, ჩვენი შუამავალი, სვიმონი, ძალიან, გამკრახნი კაცია და გულ-მოდგენით ჰსურს თქვენი საქმის წარმართვა. როგორც სჩანს ერთი ნახვით მოგიგია იმისი გული.

**კლიანტი.** მას მიშოვნის ხუთას თუმანს?

**ლაძლეში.** დიაღ! მაგრამ ცოტა რამ პირობაზედ უნდა დათასხმდეთ, თუ გნებავსთ, რომ საქმე კარგად მოვიდეს.

**კლიანტი.** შენ თითონ გალანჯარაგა ფულის პატრონთან?

**ლაძლეში.** საქმე სხვაფერე არის; ფულის პატრონი თქვენზედ მეტად იმაღავს თავის, თავის სახელს არ ამხელს. ამ საქმეს ისე მცირე მნიშვნელობა კი არა აქვს, როგორც თქვენ ჰფიქრობთ. დღეს უნდა შეიკრიფნეთ თქვენ ერთ დანიშნულს სახლში და მოილანჯარაგოთ თქვენს შეძლებაზედ და ოჯახობაზედ, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მარტო მამი-თქვენის სახელი კმარა, რომ საქმე კარგად დაბოლოვდეს.

**კლიანტი.** ამას გარდა დედა-ჩემი სომ მკვდარია და იმის წილი მე არ წამერთმეკა.

**ლაძლეში.** აი რამდენიმე პირობა, რომელიც თითონ იმან დააწერინა ჩვენს შუამავალსა: პირველი ეს რომ სარგებელს სამ აბაზ ნაგლებს არ იღებს.

**კლიანტი.** სამი აბაზი სარგებელი? აი პატრონისი კაცი! მაგაზედ უკეთესი რაღა იქნება?!

**ლაძლეში.** ეგ მართალია. ამას გარდა, რადგან იმას ახლა სრულად არა აქვს ხელში ნათქვამი ფული, ის იძულებუ-

და თქვენი პატივის-ცემისათვის თითონაც სხვისგან ისუს-  
სოს თუმიანზედ რა მანათად; ცხადია, რომ სრული სარ-  
გებელი თქვენ უნდა იყოს, რადგანაც ის მარტო თქვე-  
ნის პატივის-ცემისათვის იღებს ამ ვალსა.

კლევანტი. რა უღმერთობაა! წმინდა ურია ყოფილა. ეს ხომ  
რასა და ათ შაუროზედ მეტი გამოდის.

ლუკაძე. ეს არის რაღა ვსთქვი, ესლა თქვენ იცით და იმან.

კლევანტი. რაღა მეტქმის! მე ფული მიჭირს და უნდა სულ  
ყველაფერზედ თანხმა გავსდე.

ლუკაძე. მეც კვ ვუთხარი.

კლევანტი. იქნება ვიდევ არის რამე?

ლუკაძე. ერთი პატარა პირობა ვიდევ არის. «იმ სუთასი  
თუმიანამ, რომელსაც თქვენ თხოულობთ, ის ფულად  
ათხასის თუმიანს მეტს ვერ მოგცემთ, და დანარჩენს  
ას თუმიანში უნდა აიღოთ ტანასამოსი, სასჯის მორთუ-  
ლობა და სხვა-და-სხვა ავეჯი, რომელნიც მოსსენებულნი  
არიან ამ სიაში შეძლებისა მებრ.»

კლევანტი. კვ რაღა?

ლუკაძე. უფრო დაუგდეთ ამ სიას: «პირველად იქნება ერ-  
თი ხელი ღოგინი, შემკობილი ყავის ფერის დრათვის  
ბანტებითა; ექვსი იმავე ფერის სკამი, გადაკრული წითელ  
და ცისფერ ზოლიანის ფარხით; ამ ღოგინს ექნება თავისი  
ფარდა წმინდა ტილოთა ფარხის ფუნჯებით და ფოხით.»

კლევანტი. ესლა რად მინდა მე გვინ?

ლუკაძე. მოითმინეთ. ამას გარდა ერთი მოჭარბული სა-  
ლია, ერთი კარგი თორმეტ ფუნსიანი კაკლის სტო-  
ლი რასაც მხარეს გასაშლელი, თავისთ ექვსი სკამით.

კლევანტი. რაში გამოვიყენო, ერთი მოთხარი?



ლახტლეში. მოათმინება გქონდესთ, ავიდეკ სამი დიდი თაფი სადაფითი მოართული, თავის ზუმბით, ერთი აგურის ფეხი, ორი ზარფუში და სამი გეჭა.

კლეხანტი. მოდი და ბრახი ნუ მოგიკა!

ლახტლეში. მოათმინეთ, ავიდეკ ერთი ჩონგური, სამებით გამართული, ერთი თივით გატენილი სვლიკის ტყავი, საუცხოვო რამ არის ოთახში ჩამოსაკიდებლად. ეგელა ზემოსხენებულნი ნივთები ღირს, კანონიერი ფასი რომ დაუდოთ, ას ორმოც-და-ათ თუმნათ, მაგრამ ის თქვენის ხათროთ ას თუმანზედ ჩამოდის.

კლეხანტი. აი ღმერთმა ამოგდოს ისიცა და იმის შატროსნუბაცა! ის უღმერთო, ის სისხლის მსმელი! გაგვიჩინა სადმე ამისთანა უსინდისობა? განა საკმაო არ იყო ის ურჩის სარგებელი, რომ ვიდეკ ძალათ არ ამადებინოს ეგ ჩინი-მასობები? მაგრამ რა გავწურობა, იმან ვარჯად იცის, მამი-ჩემის სიმუნწის წყალობით მე ამისთანა მდგომარეობაში ვარ, რომ სუეველანზედ თანხმა უნდა გავუხდე, ავა-საკვივით ეელზედ ხანჯალს მაჭკრს.

## ბამოსვლა 2.

ჭარჰავონი, სვიმონ, კლეხანტი და ლახტლეში.

(სცენის უკან)

სვიმონ. ესრე, ჩემო ბატონო, ის ყმაწვილი კაცი ისე გაჭირებულია, რომ რაც უნდა შირობანა დაუდოთ, თანხმა გახდება.



**ჰარპაგონი.** ხომ დარწმუნებული ხარ, სვიმონ, რომ ამ საქმეში საშიში არაფერია? ხომ კარგად იცი ამისი გარემობა, ქონება და ოჯახის-შვილობა.

**სვიმონ.** სწორე მოგასვენო, მაგასად ბევრს ვერაფერს გეტყვი: მე თვითონაც შემოსუვეით გავიგე ეს საქმე, მაგრამ თქვენ თითონ ამისგან სუყველაფერს უფრო დაწვრილებით შეიტყობთ. მე ნამდვილად ვიცი მსოფლივ, რომ ის ძალიან მდიდარი ოჯახის შვილია, დედა ღარიბი ქვავი, და, თუ თქვენი ნებას იქნება, ის ვისრულობს რვა თვეზედ ადრე თავის მამა სხვაგან გაისტუმროს.

**ჰარპაგონი.** ეგერ საგმარა. გაჭირბუფებს რითაც ვი შეგვიძლიან, უნდა შევეწიოთ.

**სვიმონ.** ეგ ჭეშმარიტია.

**ფაქლეში.** (ცნობს სვიმონს; ჩუმად კლანტს) ამას რას ვესადავ! ჩვენი შემაჯავლი მამა-თქვენს ელაზარაკება.

**კლანტი.** (ჩუმად ფაქლეშს) იქნება, შე მუხანათო, შეატყობინე ვინცა ვარ?

**სვიმონ.** (კლანტს და ფაქლეშს) ოჰ! თქვენც აქა ყოფილხართ? ვინ მოგასწავლათ? (ჰარპაგონს) გარწმუნებთ, რომ ამითვინ არც თქვენი სახელი გამისხენებია და არც სახელი მისწავლებია, მაგრამ მე მგონია, აქ რედი არაფერია. ესენი პირ-დაცულნი არიან და შეგიძლიანთ აქვე ერთად მოილაზარაკოთ საქმეზედ.

**ჰარპაგონი.** რა?

**სვიმონ.** (ჩვენებს კლანტს) ეს ყმაწვილი გახლავს ის პირი, რომელსაც უნდა თქვენგან ხუთასი თუმანი ისესხოს და რომელზედაც ეს არის ესლა მე თქვენ გელაზარაკებოდით.

ჰარპაგონი. აი, შე ჩამოხადე ჩემო, შენ ჩადისაჲ ამ სამარ-  
ცხვინო საქმეებს?

კლეანტი. მეტე, მამა-ჩემო, თქვენ იტყვიეთ ეგრე უსინდი-  
სოთ! (სვიმონი გაკა და ლაქლეში იმალება).

### ბ ა მ ო ს ვ ლ ა 3.

#### ჰარპაგონი და კლეანტი.

ჰარპაგონი. მამ შენ იღებ ამისთანა რჯულის დამღუპავს კალებს?

კლეანტი. მამ თქვენ ამისთანა უსჯულო სარგებლებით  
მდიდრდებით?

ჰარპაგონი. რაღა სინდისით მიუყრებ შიშში?

კლეანტი. რაღა შიშით გამოგაქვთ ქვეყანაში თავი?

ჰარპაგონი. ეგრე როგორ დაჭკარტე სამუსი, რომ აღარა  
გრცხვენინა შენი გარყენილი ცხოვრებისა. დასდგომისარ  
ვაებითა და ოფლით შექენილს ცხოვრებას და ერთბაშად  
ჭლუპავ.

კლეანტი. როგორ არა გტანჯავთ სინდისი, რომ თქვენი  
სამაგლეო საქმეებით ეგრე არცხვენთ თქვენ თავსა; აღარ  
გასსოძით აღარც სახელი, აღარც პატივი, აღარც სინი-  
დისი, ოღონდ კი გაამღოთ თქვენი გაუმიძღარი გული  
და უმატოთ მანათს მანათი; მამა-სისხლი სარგებელის  
აღებით და სრიკების მოღებით უნდა ლამის უკვლას გა-  
დაატაროთ.

ჰარპაგონი. თვალდაბო მომშორდი, ავაზაკო, მომშორდი  
თვალდაბო!

**კლეანტი.** რომელი უფრო დამნაშავეა თქვენის აზრით: ისა, რომელიც თავის საჭიროებისათვის ფუფუნს სესხულობს, თუ ისა, რომელიც არა საჭიროებს და იზარაჳს კი?  
**ჰარპაგონი.** დამკარგე მეთქი, გვეუბნები, თვალთ აღარ მუხენო. (მარტო) მე მადლობელი ვარ ამ შემთხვევისა; ეს-ღა ჭკუა ვისწავლე; ამას იქით თვალი კარგად უნდა მუჭიროს მაგის ყოფა-ქცევასედ.

#### ბამოსვლა 4.

##### ფროსინა და ჰარპაგონი.

ფროსინა. ბატონო...

ჰარპაგონი. მომითმინე ცოტა ხანს. ესლავ დაგბრუნდები შენ სალაზარაკოდ. (თავისთვის) ერთი ჯერ ჩემ ფულებს დაესედო.

#### ბამოსვლა 5.

##### ლაჭლეუმი და ფროსინა.

**ლაჭლეუმი.** (ფროსინას ვერ ჭსედავს) სასაცილო ამბავია: აღ-ბად ტანისამოსის მადანია უნდა ჭქონდეს სადმე, თორემ ამ სასლში არა მინახავს-რა, რაც იმ საიში სწყრია.

**ფროსინა.** ოჲ, შენა ხარ, ლაჭლეუმი! აჲ რას მოუყვანისარ?

**ლაჭლეუმი.** ოჲ, შენა ხარ, ფროსინავ! შენ რაღა საქმისათვის მოსულსარ?

**ფროსინა.** განა არ იცის ჩემი სელობა? საქმეს ვაგურობებ ვისმეს, ვაცს სამსახურს ვაგუწევ და ამ რიგად ვსცდილობ გამოვიყენო ის მცირედი ნიჭი, რომელიც ჩემთვის დამერთს მოუცია. ხომ იცის, ამ ქვეყანაში ვაგდა სერსით უნდა იტსოვროს, და დმერთს ჩემთვის ეშმაგობის და მასწავლობის მეტი სხვა სერსი არა მოუნიჭებია-რა.

**ლაცლემი.** ამ სახლის პატრონთან გაქვს რამე საქმე?

**ფროსინა.** დიდა! მაგისათვის ერთს საქმეს ვაგებებ და იმედი მაქვს ვარგის გასამწაგოლოს მივიღებ.

**ლაცლემი.** მაგისგან? მაშ შენისთანა დედა-ვანი არავინ იქნება, თუ ერთს ცაღს ფულს გამოიტან: ვერაფერს დასტუებ.

**ფროსინა.** ზოგი სამსახური მაგისთანა ვაცხედაც ვი ვასტრის ხლამე.

**ლაცლემი.** ეკ ძალიან ვარგი, მაგრამ, ეტუობა, შენ ჯერ კიდევ ვარგად ვერ იცნობ ვარმაგონს. ეგ ისეთი მუნწი და დამწვარ-დასწავუღია, რომ ვაცობრობაც ვი აღარ ეტუობა. რაც უნდა დიდი სამსახური ვაგუწიო, სელს ვერ ვაშლეკვინებ. ესით ვამდუნსაც ვინდა ვაქებს, ვატყვისა გტემს და ვიმეგობრებს; მაგრამ ფულს ვი ნუ ვაუხსენებ. იმის აღვკრსიცოდასეთი ვუგემური და ვუყამურია, რომ ვორც თითონ. თითონ სიტყვა «მეც» ისე ეწიფლებ, რომ თავისოდღემი არ იტყვის: სალაში ვომიცია, — სალაში ვმისესებია.

**ფროსინა.** შენ მე ვერ მიცნობ; მე ისეთი ვარად მოველაქუცებ, რომ მუნწსაც ვამუნწობას ვადავაწივებინებ. ისეთი თიღინმა მიაქვს, რომ ერთბაშად ვაგებებ ვაწის სი-სუსტს და გულს ბაღდადივით ვადავაშლეკვინებ.

ლაძლეში. ეგ სულ ტყუილი ფიქრია, მაგრამ აი თითონვე აქ მოდის.

### ბამოსვლა 6.

#### ჰარპაგონი და ფროსინა.

ჰარპაგონი. (ჩემად) ვეკლავები თავის აღაგას არის. (ხმა-  
მალღივ) აჰ, ფროსინავ, შენა ხარ?

ფროსინა. ოჰ, ჩემო ბატონო, მისწინა, რომ ეგრე ჯანის  
სიმართლეთ ბძანდებით და ეგეთი კაი ფერი გადევთ.

ჰარპაგონი. მითომ?

ფროსინა. მე ჯერ ეგრე უოჩაღად და მხიარულად არ მინა-  
სეისართ.

ჰარპაგონი. არა თუ?

ფროსინა. ბეჭი ოც-და-სუთი წლის უმაწილი კაცი ვიცი,  
რომელსაც თქვენსედ უფრო ბებრული სახე აქვს.

ჰარპაგონი. რას მეუბნები, აღაგინო, მე ხომ სამოცი წლი-  
სა მეტისა ვარ.

ფროსინა. სამოცი წლისა! ეგ რა სათქმელია; თქვენ იმის-  
თანა ხანში შესდისართ ესლა, როდესაც კაცი ღვივის,  
ვარდით იშლებს.

ჰარპაგონი. მართალია; მაგრამ ერთი ოცი წლით რომ უმა-  
წილი ვიყო, ცუდი არ იქნებოდა.

ფროსინა. კარგი ერთი თუ ღმერთი გრწამთ. ეგ რა საჭი-  
როა თქვენთვის: თქვენ ისეც მსის წლის სიტოცხლე გი-  
წერთ.

ჰარპაგონი. მითომ?

ფროსინა. ნამდვილს მოგასსენებთ. ყუულაფერზედ გეტყობათ, რომ სან-გრძლივი იტოცსლებთ. აი ეს ნიშანი თვალებ შუა სან-გრძლივი სიტოცსლის ნიშანია.

ჰარპაგონი. განა ეგეებიც იცი?

ფროსინა. ძალიან კარგად. აბა სული გაშალეთ. დიქროლ! რა გქელი საზია!

ჰარპაგონი. როგორ?

ფროსინა. კერა ჭხდავთ, სადამდისინ მიდის ეს საზი?

ჰარპაგონი. ახლა, რას ნიშნავს?

ფროსინა. მე სომ ასი წელიწადი გითხარით, ასე იტოცსლებთ.

ჰარპაგონი. არა, გეთაყვა, მართლს ამბობ?

ფროსინა. თუ სხვის სულით არა დაგიშავათ-რა, ვინ იცის, რამდენი ხანი იტოცსლებთ: თქვენ შვილებსაც და შვილი-შვილებსაც თქვენ დასაფლავებთ.

ჰარპაგონი. უფრო კარგი. ახლა ჩვენი საქმე როგორ მიდის?

ფროსინა. მაგას რაღა კითხვა უნდა, განა მე გაკერევი იმის-თანა საქმეში, რომ ბოლო კარგად არ მოვიყვანო! მე-ტადრე მატანკლობაში საკვირველი ნიჭი მაქვს. რაც შე-ესება დაჭირწინებას და გარიგების საქმეს, დაწმუნე-ბული ვარ, რომ რაც უნდა გაწეწილი საქმე იყოს, ცოტა ხანში უთუოდ დაგაბოლოებ. რომ მოკინდომო, თითონ მოსისხლე მტრებსაც კი შეეყრი ერთად. ამ საქმეში მე არა გამიჭირდება-რა, რადგანაც მისულა-მოსულა მაქვს დე-დასთანაც და ქალთანაც. მე დაწერილებით მოვილავანაკე-ოქთავესთან თქვენზედ. დედას კი ვუამბე, თუ რა განგი-სრასავთ მარინაზედ, რომდესაც ის გინასავთ ქუჩაში გავ-ლილი და მეჩე როცა თვალი მოგიკრამთ თანჯარაში.

**ჰარპაგონი.** მე რა გიპასუხეს?

**ფროსინა.** ამ ამბავმა ძალიან გაასახა და რადესაც მე ვუთხარი, რომ თქვენა გსურთ იმის ქალი დაესწროს თქვენი ქალის ქორწილში, ის სიამოვნებით დათანხმდა და ყოველისფერი ჩემსუფ მიაგდო.

**ჰარპაგონი.** მე დღეს, ჩემი ფროსინავ, გასშინად დახატოე-ბული მუავს ანსელმი და დიდად მოსარული ვიქნები, რომ ისიც მეწვიოს.

**ფროსინა.** ძალიან კარგი იქნება. დღეს სადილს უკან ის თქვენის ქალის სანასავად მოვა, იქიდან წავა თავის საქმესუფ და საღამოსუფ გასშინად თქვენთან დაბრუნდება.

**ჰარპაგონი.** მას კარგი, მე ჩემს კალიასკას ვათხოვებ და ჩემი ქალი და ის ერთად წავიდნენ...

**ფროსინა.** კარგად მოითუქრეთ!...

**ჰარპაგონი.** მაგრამ ერთი მითხარ: მოკლავანაკე დედას მხითეუსუფ, აქლევს რასმეს თავის ქალს? ხომ უთხარი, რომ უნდა შეეწიოს რითიმე, უნდა ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ სულიდამ არ გაუშვას ამისთანა შემთხვევა. აბა შენ თითონ მითხარი, სულ ცალიერს ვინ შეი-თავს...

**ფროსინა.** სულ ცალიერსა? აბა რას მიბძანებთ! უკანასკნელს ოთხას თუმიანს მინც არ შეგმატებთ წელიწადში!..

**ჰარპაგონი.** ოთხს თუმიანს!

**ფროსინა.** დიად, მომისმინეთ. პირველად უნდა მოგასხე-ნოთ; რომ ის დიდს პირის პატრეში არ არის გაზდი-ლი. სხვა ქალივით არ მოგთხოვთ, რომ სადილად უთუოდ წამდებამე თავი და არჩეული საჭმელები უმზა-დოთ, ძვარფასი სასმელები ასვათ. ის ისეთი ნაზი მჭა-



მელა, რომ რბე, ყოველი მწკანელი და ხილი სულ მთლად  
საკმაოა; ეს უბრალო რამ კი ნუ გგონიათ. ყოველ წლივ  
ასი თუმანი მანც დაწება მიწს. ამასთან ძალიან წენა-  
რი და ჩუმი ცხორება უყვარს, სხვასავეთ .გაგიუბული  
არ არის ძვირფასი კაბებისათვის, ძვირფასი თვლებსათვის  
და მდიდრად მოწონისათვის, ესეც რომ ცოტა ვიანგა-  
რიშოთ, წელიწადში ას ოც-და-ათ თუმანდის შეადგენს...  
ამას გარდა, იმას საშინლად სძულს ქაღალდის თამაშო-  
ბა, რომელიც ჩვენ ქალებში ხშირია. მე თვათონ ვიცნობ  
ერთ ჩვენ უბნულს. ქალსა, რომელმაც ამ წელს შვიდას  
თუმანდის წააგო. მეოთხედი ვიანგარიშოთ: წელიწადში  
ას სამოც-და-ათი თუმანი ქაღალდის თამაშობის ჩავაგ-  
დოთ, ას ოც-და-ათი — კაბები და მოწითულობა; ეს სულ  
შემდგენს სამას თუმანს; ასი თუმანიც რომ საჭმლისა მი-  
კუმატოთ? — აი ოთხასი თუმანი...

**ჰარპაგონი.** ეგ ყველა კარგი, მაგრამ ნაღდად რომ არაფერი  
სჩანს...

**ფროსინა.** რას მიბრძანებთ, ბატონო! განა ეს ნაღდი მზი-  
თევი არ არის, რომ ცოლად მოგყავთ ამისთანა ოჯახის  
მომკლელი ქალი, რომელსაც ამასთანავე ქაღალდის თამა-  
შობა ძალიან ეყვარება?

**ჰარპაგონი.** ეგ მასხარაობაა: იმას მითვლი მზითავად, რასაც  
ის არ შესწამს და არ წააგებს. მე მინდა, რომ თვალ-  
საჩინო იყო რამე.

**ფროსინა.** ფაქი ნუ გაჭვთ, თვალ-საჩინოც იქნება. იმათ  
ერთი დიდი მამული აჭვთ და თქვენს მეტი იმის ჰატო რ  
ნი ვინ იქნება.

**ჰარპაგონი.** ვნახოთ, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს. სომ იცო



რომის ქალი ახალ-გაზდას; ახალ-გაზდა ქალი თავის შესაფერს ახალ-გაზდა კაცს ეძებს, და ჩემი ხნის კაცი არ ექანება. მეშინიან, რომ ბოლოს გული არ აიყაროს ჩემოდ და უსიამოვნება არ მოხდეს.

ფროსინა. სრულებით არ გიჯინათ თქვენ ის ქალი; მაგის თქმა მინდობდა კიდევ, რომ იმას ძალიან ეჭვოვნება ახალ-გაზდა კაცები და ბებრები კი გაგიჟებით უყვარს.

ჰარპაგონი. რას მეუბნები?

ფროსინა. ჰუმანიტას მოგახსენებთ. ნეტავი ყური დაგაგდებინა იმის ლაშარაკისათვის. ასე მოგახსენებთ, ახალ-გაზდა კაცი თვალის დასახსაკად ეჭვოვნება და როდესაც თმა და წვერ გათოთრებულ ბებრსა ჰხედავს, არ იცის სიხარულით რა ჰნას: ის ისეთს საქმროს ნდომიულობს, რომ სამოცი წლისა მინც იყოს; ერთი თვე არც კია, რაც იმას საქმრო აჩენილი ჰყვანდა და ქორწილი იმიტომ მოიშალა, რომ იმის საქმრო ღარიბ-და-თექვსმეტი წლისა მეტი არ იყო და ხელის მოსაწერად სათვალეები არ იხმარა.

ჰარპაგონი. ნუ მეტყვი!

ფროსინა. ღმერთთა მარჯამე, თითონ იმან მითხარა, რომ ღარიბ-და-თექვსმეტი წელიწადი მეტროტაგებო და მეტადრე საკვირვლად მოსწონს სათვალეებით შეგაზმული ცხვირი.

ჰარპაგონი. საკვირველია, მე ამას თავის დღეში ვერ ვიფიქრებდი; და დიდად მოსახრული ვარ, რომ ის მაგისთანა მიმართულებისა უოფილა. მართლაც და, მე რომ ქალი ვოფილიყავი, თავის დღეში უმაწვილ-კაცს არ შევიყვარებდი.

ფროსინა. მეც მაგ აზრისა ვარ. ნეტავი ერთი რა მოსწონთ იმ საძაგლებში, რომ ეგრე გიყუდებან იმათთვის?

ჰარპაგონი. მეც კვ მივიჩნის და არ მესმის, როგორ მისდით იმათზედ გული.

ფროსინა. სწორეთ სულელები არიან; რა თავში ძოსასკლე-ღია უმასწილი კაცის შეყვარება. განა ისინი კაცად ჩასაგ-დებნი არიან? შეიძლება ზიურტყუების შეყვარება?

ჰარპაგონი. მას მოგწონვარ?

ფროსინა. რას მიბძანებთ, სწორედ კადმითა ხარ დასატული. ერთი მიბრუნდით ცოტა. ამაზედ მშვენიერი ვილა იქნება. ერთი გაიხიროთ ვიდუცა: რა მშვენიერი წვრილი ტანისაა, რა მისკრა-მოხვრა აქვს, კერასიფერს წუნს ვერ დასდებთ.

ჰარპაგონი. მადლობა ღმერთსა, ნაკლულეკანება არა მაქვს-რა. მარტო ხან-და-ხან ეს ხველა მაწუხებს.

ფროსინა. კვ არათუ: თქვენ ხველაც გიხდებათ.

ჰარპაგონი. ერთი მითხარი, მარინას ჯერ არ უნახვივარ? ქუ-ჩაში ხომ თვალი არსად არ მოუვარავს ჩემთვის...

ფროსინა. არა, მაგრამ დიდი ხანი ვი გუჭონდა თქვენზედ ლაზარაკი: მე დაწვრილებით აუწერე თქვენი სახე და და-ვარწმუნე, რომ თქვენზედ ღირსეულს ქმარს ის ვერ იშო-ვის.

ჰარპაგონი. დიდად მადლობელი ვარ, კარგად გიქნია.

ფროსინა. ერთი ზატარა სათხოვარი მაქვს თქვენთანა: სასა-მართლში სანივარი მაქვს და ღამის წაუგო უფულობი-ბისა გამო (ჰარპაგონი სახეს შეიჭმუნავს) არ თქვენ შეგი-ძლიანთ ადვილად დაბოლოკოთ ეს საქმე, თუ ჩემთვის სიკეთეს მოინდომებთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ-აძება მარინას თქვენი ნახვა (ჰარპაგონი მხიარულს სა-

ხვს მიიღებს) როგორ მოეწონება თქვენი ძველი ტანი-  
სამოსი.

**ჰარპაგონი.** ალტარებაში მოგყვარ შენის ღაპარაკით.

**ფროსინა.** სწორედ მოგახსენოთ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის იმ საჩუქარს. (ჰარპაგონი კიდევ მოიჭმუნავს სახეს) დავიღუპები თუ ის საჭმე წავაგე; პატარა შემწეობა კი რომ საიდგანზე მომეტეს, მალე გავასწორებდი საჭმეს. თქვენ უნდა წარმოიდგინოთ, როგორ მიგდებდა ყურს მარცხს თქვენზე რომ ველაპარაკებოდი (ჰარპაგონი ისევ მხარბუღს სახეს მიიღებს). სისარულით ფეხზედ აღარ იდგა, როდესაც თქვენს ხასიათზედ ველაპარაკებოდი, და მოუთმენლად მოკლავს იმ დღეს, როდესაც ეს ქოჩილი მოხდება.

**ჰარპაგონი.** კვ დიდად სასიამოვნოა ჩემთვის და გაწმენებ, რომ დიდად დამაკალებთ.

**ფროსინა.** გთხოვთ, პატარა, პატარა შემწეობა მომიტოვო (ჰარპაგონი ისევ სახეს შეიჭმუნავს). თქვენი შემწეობა ფეხზედ წამომყენებს, საუკუნოდ დამაკალებთ.

**ჰარპაგონი.** მშვიდობით: წერილები მაქვს გასათავებელი.

**ფროსინა.** გაწმენებთ, ამისევე მეტად გაჭირებულს ველარა მნასავთ.

**ჰარპაგონი.** მე ვუბძანებ, კალიასკა შეგობან ბაზარში წასასვლელად.

**ფროსინა.** არ შეგაწუხებდით, რომ ძლიერ საჭირო არ უფილიყო.

**ჰარპაგონი.** მე ვუბძანებ, რომ ვახშამი ადრე გვაჭამონ: მე-შინიან საჭმელმა არ გაწყინოთ.

**ფროსინა.** უარს ნუ მიბძანებთ, ღვთის გულსათვის, ხელო-

გამომსრუტეთ; თქვენ ვერ წარმოადგენთ იმ სამოქმედოებს...  
 ჰარპაგონი. უნდა წავიდე, მეძინება.  
 თროსინა. (მარტო) აი, ჭირმა წაგიდრეს ქოთაკო ძაღლო,  
 ეშმაკის კეჭმა! რა ეშმაკობა არ ვიხმარე, მაგრამ ამ კრი-  
 უანგს გროში ვერ დავსტყუე; მაგრამ საქმეს მაინც  
 თავი არ უნდა დავანებო, სხვა მსრიდამ უნდა მოვუარო,  
 იქნება მაშინ გამოვსტყუო რამე.

დასასრული მერვე მოქმედებისა.

(შემდეგ იქნება).

მოდხრობა სპარსეთის და საქართველოს აკულოგის  
თაოგაზედ

პეირონელისა.

ნათარგმნი ფრანცუზულიდან

(გაგრძელება \*)

თაკვი 7.

მაჰმად-ყული-ხანის ომი ვანტანგთან. ქართველი ბატონის-შვილების  
განდევნა. მაჰმად ყული-ხანის სიკვდილი.

როდესაც ვანტანგმა 1719 წ. დაიპყრო ქართლის სამე-  
ფო და შეიქნა ყაენის რაყამით გამკებელი სრულიად საქართვე-  
ლისა, მან მაშინვე მოისადა ყაუხი და უარ-ჭყო ის საწმუ-  
ნოებს, რომელიც მან პოლიტიკურის მოსასწრებით მიიღო ჯ რა-

---

\*) ის. «ივერია» 1879 წლივა № № 9 და 10. ამ გაგრძელე-  
ბამ ანუ უკედ ვსოქვათ დასასრულმა პეირონელიის ნაშრომის 1 ნალი-  
სამ. თუმცა ძალიან დაიგვიანა სწვა და სწვა მიზეზებისა გამო, მაგრამ  
მანც ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამისი დაბეჭდვა, რადგან პეირონელი;  
როგორც თანამედროვე თვის მიერ აღწერილ ისტორიელის ფაქტებისა,  
დიდად საყურადღებო ამბებს მოგვითხრობს ჩვენს მეფეებზე იმ დროს,  
როცა საქართველო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო და როცა ის-იყო  
ამოდიოდა მისი მზე—მეფე ერეკლე მეორე. რედ.

მელიც ესაა გამოუდგარი იყო მისთვის და სულმორედ მონათლა. მან ტახტიდამ ჩამოაგდო იასუ-ხანი, თავის ძმა და რაკდენსამე წელიწადს საზურობილეში დაამწყვდია; შემდეგ, როდესაც ვახტანგი დამკვიდრდა თავის საბრძანებელში, განათავისუფლა იასუ და დივანბეგობა უბოძა.

1721 წ. ვახტანგმა გაილაშქრა ლეკების წინააღმდეგ, რომელნიც აჯანყდნენ და დაარღვიეს სპარსეთის ყაენთან შეკრული შირობა. კარის-კაცებმა დააჯერეს ჭუსეინ-შაჰი, კითხმაც ვახტანგი ლეკების საომრად კი არ ემზადებოდა, არამედ თვით ყაენის წინააღმდეგობას აზირებდეს. ჭუსეინმა უბრძანა მას ჯარი დაეთხოვა და მას ხლებოდა თავის გასამართლებლად. ამ უსამართლო მოქცევით ვახტანგი აღშოთდა და ყაენის გარკვეულა შეურაცხ-ყოფად მიიღო. ყაენის დამორჩილებისა და მასთან ხლების მაგიერ მან წაასხა ჯარი განჯას, აკლო და დასწვა განჯის მარცხ და თვით ქალაქიც დაიპყრო.

მაჰმად ყული-ხანი, რომელიც ამას არ მოკლოდა ვახტანგისაგან, შეშინდა, მეც არაფერი შემდითხვიოსო, გაიქცა და ერევანში ჩავიდა. ამ ვახეთის ბატონის-შვილს ცოლად ჭყავდა სასულ-განთქმული იტიმად-ელ დეკლერ-ალი-ხანის ქალი. ყაენის კარის-კაცი, რომელთაც დაღუპეს ეს კეზირი, შეშინდნენ, რომ იმისმა სიძემ არ ისარგებლოს ვახტანგის აჯანყებით, მის შემწყობით მაგიერი არ გადუხადოს ყაენსაო და ვახტანგს სპარსეთის სასკლებლად არ შეუერთდესო; დაარწმუნეს ყაენი ჩამოკედო შური ამ ორ ბატონის-შვილებ შორის, რომ ამით ისინი განცალკევებულაიყვნენ. ამ აზრით მათ მაჰმად ყული-ხანის სრულიად საქართველოს მეფედ გამოაცხადეს.

ამ კერატობით ასრულდა კიდევ ის, რასაც მისგან მოკლოდნენ. ამ ამბით გაშმაგებულმა ვახტანგმა დაანება განჯას

თავი, სადაც მან სამი თვე დაჭრა და ქვეყნის დაცვისათვის დაბრუნდა ტფილისს ახლის მტრის საწინააღმდეგოდ. როდესაც მანად-ყული-სანმა შეიტყო ვასტანგის დაბრუნება, გადავიდა ერევნიდამ შამსიაში და იქიდან კასეთში, სადაც შეაგროვა ჯარი და იმავე ზამთარს ტფილისს შემოერტყა.

ტფილისის ციხეში მრავალნი ყიზილბაშნი, უაენის ქვეშევრდომნი სცხოვრებდენ; მათ დალატობით ისე შეიყვანეს მანად-ყული ციხეში, რომ თოფიც არ დაუცლიათ იმის აღებასად. მაგრამ ვასტანგმა, შიგ ქალაქში მცხოვრებმა—თუმცა საშინელი შიში იყო გავრცელებული იმის ჯარში მტრისაგან ციხის აღების შემდეგ,— ისე მრავლად დაუშინა ყუმბარა ციხეს, რომ მანადი იძულებული იყო იქიდან გამოსულიყო. რადგანაც სიდი მტკვარსად ვასტანგმა ჩამტკრია, მანადმა ახალი სიდი გააკეთებინა და ღამით გაიშარა და ბუდნიერად რაცხდა თავს, რომ განსაცდელს გადაჩნა.

ამ დამარცხებამ მანად-ყული არ დააღონა. მან შეაგროვა თავისი ჯარი კასეთში და ლეკებთან წაგოდა დახმარების სათხოვნელად — ლეკებს კარგად ახსოვდათ ვასტანგის მიერ თავისი დამარცხება და ამიტომაც მისცეს მანადს შიდი ათასი დათარაღებული კაციდან შემდგარი ჯარი. მანადი ამ ჯარით ისევ შემოერტყა ტფილისს და გაიმარჯვა კიდევ, დაიპყრო დუდა-ქალაქი და აიძულა ვასტანგი გარდასვეწილიყო ცხინვალს. ამ უგედურეს მდგომარეობაში ჩაკარდნილმა გაგზავნა თავის ძმა ასე აზრემის ფაშასთან დახმარების სათხოვნელად. ფაშას ძალიან იამა ეს ამბავი; რადგან სურდა გამხდარიყო საქართველოს ბატონად და ისარგებლათ ამ მეფეების შორის განსეთქილებით. ის მიადგა ტფილისს დიდ-ძალი ჯარით, დაიპყრო იგი და



დაატყვევა თვით მკვამად-ყულ-ხანი, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოახერხა და ღამით გაპარვით გასეთში გაიქცა.

ვასტანგმა მალე შეინახა თათრების ამ საქმეში გარევა. მათ გააგდეს სამეფოდამ მკვამადი, მაგრამ ვასტანგს კი არაფერი დაუბრუნეს, უწინდელ მტრის მგებრ ახლა მას უფრო ძლიერი და საშიში მტერი ამოუჩნდა. რედშეზ ფაშამ, რომელიც მისინ სერასკარად იყო, წინადადება ვასტანგს საქართველს ფაშად გამხდარიყო, ისიც იმ პირობით, რომ მკვამადის სჯული მიეღო. ვასტანგმა ამხედ უარი განაცხადა და დათანხმდა მხოლოდ, რომ თავისი შვილი ბაქარი დაეყენებინა თავის მამად. ბაქარი გამკვამადიანდა, დაირქვა სახელი შაჰ-ნავაზისა \*) და საქართველს ფაშად წოდებულ იქნა და წოდების მისაღებად სვანთქრისიან მან მიუზღო რედშეზ-ფაშას სამოცი ქისაფული. შაჰ-ნავაზმა დაჯერო რადენიმე ხანი ამ წოდებით, ჭრდესაც დაწმუნდა, რომ მას მხოლოდ წოდება აქვს მმართველისა და ხმდვილ კი თვით სერასკერი განაგებდა საქმეებს, მან უგუგდო მკვამადიანობა და რადენიმე ასი კანით გამაგრდა ერთ ხეობაში, სადაც მან საკვირველი ბრძოლა გაუწია მტრს. რადესაც მტრმა დასძლია, წაიდა თავის მამასთან ოსეთში და იქიდან მთელი სასლობით გარდავიდა მოსკოქს (რუსეთში).

ვასტანგს, რომელმაც თავის თავ-მოყვარობით და დაუდგრომლობით\*\*) ამდენი უბედურება გამოიარა, ცოლად რუსეთ-

\*) ქართლის ცხოვრებაში შაჰ-ნავაზ III იწოდება. მთარგ.

\*\*) ამ სიტყვებზე ჩვენ ავტორს სრულიად არ ვუგანხმებით. ვასტანგ VI, როგორც დიდი ნიჭით შემეული კაცი იყო, აგრეთვე მტკიცე ხასიათიცა ჰქონდა. დი. ბაქრაძემ სხვათა შორის ამ უკანასკნელ დროს

დანი, ჩერქეზის მთავრის შვილი ჭყავდა. იმის სელში მას ორი გაყი დაჩნა, ბაქარი ანუ შაჰ-ნავაზი და გიორგი და ერთი ქალი, რომელიც მეფე თეიმურაზმა შეირთო. მას დაჩნა აგრეთვე ხასასაკან შვილი ვახუშტი. ამით მფისპო შთამომავლობა ქართველ მეფეების ტომისა კახეთის სსხლიდამ.

როდესაც მაჭმად-ყულბ-ხანი დაბრუნდა თავის საბრძანებულში, მან ყოველი ყოჩისძიება ისმანა თუ რაჟთა განდევნისათვის. 1724 წ., როდესაც თათრების ჯარმა ჭამადანამდი მიანწა, მაჭმადი გავიდა მტკვარში გორის ახლას და დაეცა გორის ციხეს. რედშე-ფაშამ, რომელიც მოეშველა გორს, აიძულა მაჭმადი დიდის დამარცხებით გაბრუნებულიყო. ოსმალებმა ბერძნულ იმეცადინეს დაემოწმებინათ ეს ბატონის შვილი და

ძლიერ გარკვევით წარმოგვიდგინა დიდი სახე ამ მეფისა. ცალკე წიგნში. ის განთქმულია, როგორც პოლიტიკოსი, სჯულ-მდებელი და სწავლა-განათლების განმავრცელებელი. სხვა ღვაწლთა შორის, რომელიც დასდვა ვახუშტანმა საქართველოს, მან პირველად შემოიღო ჩვენში სჭამა 1709 წ., სადაც დაიბეჭდნენ თითქმის ყველა სამართო წერილის წიგნები და დარიგებულნი იყვნენ სამივე სამეფოს, ქართლის, ვახეთის და იმერეთის ყველა ეკლესიებში. მაშინ დაიბეჭდა აგრეთვე უკვდავი პოემა შოთა-რუსთაველისა «ვეფხვის-ტყაოსანი». ზოგიერთ მაშინ დაბეჭდილ წიგნების სათაურზე დახატულია ქართველთა მეფეების ბაგრატიონების გერბი. როგორც მკითხველსაც ეცოდინება, ამ გერბში გამოხატულია: გოლიათის მკვლელი შურდული, დავითის ქნარი, სასწორი, სიმბოლო მეფის ძლიერებისა, გვართი უფლისა, შემოტანილი საქართველოში ელიოზის მიერ შემდეგ ქრისტეს ჯვარცმისა. ზოგიერთ გერბში იხატებოდა აგრეთვე წმ. გიორგი ცხენზედ დრაკონის აღმოსცეულად. გერბის ირგვლივ ფსალმუნისა წარწერა არის, რომელშიაც დავითს ღვთისწამან აღბეჭდილი ჰქონდა, რომ მისი შთამომავლობა ტახტზე დაბმანდებოდა.

როდესაც ძალით ვერ უყვეს რა, მასინ სერხი იხმარეს. იუსუფ-ფაშამ, ხალ-ცინის ფაშის შვილმა, წინადადება მისცა მორიგების თაობაზედ, დაჭმარაჲს ამ მიზეზით მარტო-ყოფაში და სთხოვა, რაც შეიძლება მცირე ამალით მოსულიყო, ვითომც იმისათვის, რომ მოლაპარაკება საიდუმლოდ დაჩხესო. წინ დაუსდგელი მანქმედი საფანგში გაება; დანიშნულ ადგილს მოვიდა მსოფლოდ თორმეტი მსლებელით. ფაშამ მიიღო იგი სრულის პატივის-ცემით და დაუწყო მას მორიგებაზედ ლაპარაკი. შეაქცია მთელი დღე, მშვენიერად გაუმასპინძლდა და, როდესაც მანქმედი შინ ბრუნდებოდა, ფაშამ უზანგი დაუჭირა, სანამ საბრალო მანქმედი ცხენს მოაჯდებოდა, ფაშამ რაოდენჯერმე დასცა ხანჯალი; როდესაც მოჭკლა, მოსტრა თავი და სტამბოლს გაგზავნა. \*) იმის თორმეტ-მა მსლებელმა ისეთი გასაცინა და გაუგონარი საქმე ჩადინეს, რომ თითქმის ვერ დაიჯერებს კაცი: მათ არ შეეშინდათ სუთასი კაცისა, რომელიც ფაშის ამაღას შეადგენდა, უმრავლესი ნაწილი დახორცეს და გამოიტანეს თავის მეფის კვამი, ბამბის კარკი, ცხენი და იარაღი.

მანქმედი-ყული-სანამ ამ ნაირად დაიდუმა თავი ჯერ სიჭაბუკეშივე. ის თავის გეარში ერთი უმხნევესთაგანი ბატონის-შვილი იყო. ის იყო შემკული იმ თვისებებით, რომელიც შექმნიან ქვეყნის დამპყრობელს. მას ქჭონდა ის თავის მოყვარეობა, რომელიც ბადავს მპყრობელის თავში დიდს პროექტებს,

\*) ეს დ. ბუხანგეში მოხდა 1739 წ. მასთან დაინოცნენ ალაგერდის არხიეპისკოპოზი ნიკოლოზი, რევაზი არაგვის ერისთავი და სხ. იხ. Ист. вст. на состояние Грузии подъ властью царей-магометанъ, П.л. Юсселиани, გვ. 129.

იგი აღჭურვილი იყო ამ ჰლანების სასარგებლოდ განსაზღვრის სიძამადით; მაგრამ იგი ნაადრუტ გატაცებულ იყო სიჭახუვის ტყუილად, ძლიერ ნაკლებად იცნობდა ვაჭრობრიობას და ამას გამოეწიება თავი. მას რომ გამოეცდილება ჰქონოდა, სწორედ დიდი სულში იყო შეიქნებოდა, მაგრამ წინ-დაუხედაველობამ და დანდობილებამ დაღუპეს იგი.

თ ა ვ ი მ .

მაკმედ-ყული-ხანის სიკვდილიდამ თეიმურაზის საქართველოს მეფედ დამტკიცებამდე.

თეიმურაზი, ეწვევს მესამე შვილი, ვახუთში ამყოფებოდა, რომელსაც მისი ძმა მაკმედ-ყული-ხანი ძოვებს. მან შეკრიბა ყოველი თავისი ჯარი და რომ თათრების-თვის მოემართა ვახუთის დახურობა, მან დაიჭირა სერბი ლეონის ბელარსად სახელწოდებული ვახუთის მახლობლად. ეს ისეთი ადგილია, რომ მხოლოდ აქედამ შეეძლოთ თათრებს გარდასულა შუაგულ იმის სახელმწიფოში. ამ ნაირად რსმალუმს ვახუთის ირგვლივ მხოლოდ რადენამე სოფლის დახურობა შეიძლებს, სოლო თეიმურაზი ფლობდა თავის საბრძანებულს. ამ მეფემ მალე გამოაჩინა თავისი მხნეობა, რომლითაც წინეთაც განთქმული იყო. 1734 წ. თამაზ ყული-ხანმა წამოასხა ჯარი შამხანზე, საიდანაც მან ლეკები განდევნა. იუსუფ ფაშა, მისინ ტფილისში მყოფი, განჯას წავიდა შესაგებებლად ალი-ფაშასთან, განჯის მმართველთან ერთად, საბრძოლველად თამაზ ყული-ხანის წინააღმდეგ. თეიმურაზი ფაშას დაეჭა გზასად მიმავალს იუსუფს და

ათასი კანით ამ სარდალის ქვესი ათასი ჯარი გააქცია და აიძულა იგი უკანვე დასუფიოეო ტფილისისკენ. ეს მოხდა აჯობ ასულარის ველზე. ამ გამარჯვების შემდეგ თეიმურაზმა კახეთში თავის მკვიერ ქიზიყის ერისთავი დასტოვა, თითონ კი თამაზ ყული-ხანს შეუერთდა მთელი თავისი ჯარით განჯის ასაღებადა. ალი-ფაშა იჯდა იქ ათი თუ თორმეტი ათასი კანით. იცავდა ცისეს თერთმეტი თვე, დაიმედებულა რომ მას მიეშველება აბდულა-ფაშა-კუზურლი; მაგრამ თამაზ-ყული-ხანმა დასტოვა ერთი ნაწილი თავის ჯარისა განჯის ასაღებად, სოლო თითონ დაუბრუნდა ამ უკანასკნელს წინ-დასასდომად და თეიმურაზი და ისკანდერ-ხანი ტფილისის ასაღებად გაგზავნა.

თამაზ-ყული-ხანი დასვდა აბდულა-ფაშას ყარსის მინდვრებზე, არზანის მხლობლად, დაუტაკა მას და გააქცია მისი ჯარი. თათრის სარდალი იქვე მოკლეს. თამაზს ყოველთვის დაჰქონდა თავის კარავთან ერთად ერთი დიდი ჩარბაზანი, რომელიც შაჰ-აბაზს ჩამოკისმევინებინა. ერთმა მეჩარბაზნემ იცნო აბდულა-ფაშის კარავი, მოახსენა თამაზს და ნება გამოსთხოვა ჩარბაზნის სროლისა და პირველ სროლისათანავე აიყვანა ცაში კარავიც და სარდალიც. იმის სიკვდილის შემდეგ რამალოს ჯარნი გაიქცა და თამაზ-ყული-ხანმა, თუმიცა მას ჯარი ბევრად ნაკლები ჰყავდა, სრულად გაიმარჯვა.

ამ გამარჯვების შემდეგ მან შეატყობინა განჯას ფაშას, რომ ის ამიერიდამ აღარ უნდა მოელოდეს აბდულა-ფაშისაგან დახმარებას, რომ ის დამარცხებული და მოკლული იყო და ამის გამო განჯის ფაშას უნდა დაეთმო მიხთვის ცისე. დიდის ბრძოლის გაწყვიტის შემდეგ ამ სარდალმა დასცალა ცისე და მორჩილებისა მუხრ გამოვიდა ფქვიდამ ჰატივის უკლებლად, რაგორც რამიანობის წესი მოითხოვს. იუსუფ-ფაშა რაოდენიმე ხანს



იცავდა თავის თავს ტფილისში. იმისი სხლარეთ უხურესი მატყედ-ბეგი ორჯულ გამოვიდა ჯარით ციხის გარეთ და უკუ-აქცია ქართველები, მაგრამ რადესაც აბდულას დამარცხება შე-იტეო, მან დაუთმო თავის ადგილი ისკანდერ ხანს. რომელიც თამაზ-ყული-ხანმა ტფილისის ხანად დააყენა 1735 წ.

ამ უმად ერთი ერისთავი სცხვარებად, სახელად შანშე, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ მხარეს, არაგვის ხეობას \*) ფლობდა და დიდი ხანია აუჯანყდა სპარსელებს. ეს ის თავადი იყო, რომელიც ვასტანგს შეეწია რუსეთში ოსეთით გაზღვრვის დროს, მას უმჯობესი ოსეთის ხალიფი ემირნი-ლებოდა, თამაზ-ყული-ხანმა უბრძანა ისკანდერ-ხანს და სუბხან-სერდარს შანშეზე გალაშქრება, იმისი დაპყრობა და დატყვევება. ეს ორი სარდალი შვიდი ათასი კაცით წავიდნენ იმის და-სამოქმედებლად, აიღეს განათის კოშკი, სადაც შანშეს ჯარიც ჰყოლოდა; აქედამ გავიდნენ კესის კოშკში და მივიდნენ არაგვის ხეობაში, სადაც აჯანყებული იმყოფებოდა; შანშე დიდ-ხანს იცავდა თავს ხსობით და ტყეში ხასიაფებით, ბოლოს, რადესაც დარწმუნდა, რომ იგი წინააღმდეგობას ვეღარ გასწევს ხალ-ციხის ფაშასთან გასწია. ისკანდერ-ხანმა აიღო არაგვის ხეობა და გამოუდგა შანშეს თვით იმერეთის სასულიერო უწყის მას ვეღარ დაეწია. იმერეთის მეფე ალექსანდრე შუამო-ღებულად ხალ-ციხის ფაშასთან, რომელიც იმას იმდენ ხარკის გაზღვრვას სთხოვდა, რომ მან ვეღარ შეძლო, თბილისში გაზღვრვა-

\*) ავტორი შეცდომით არაგვის ხეობას აპეროს ხეობას უწოდებს. ჩვენის აზრით ეს შანშე ქსნის ერისთავი უნდა იყოს და არა არაგვისა, რადგანაც მაშინ არაგვის ერისთავად თეიმურაზი იყო, რომელსაც თათ-რებმა წაართვეს ერისთავობა.

წა. მან მისწერა თამაზ-ყული-ხანს, რომ თუ მომიხსნებ და დამიხსნი თათრების შემოსევიდან, შენ დაგვიმორჩილები და შენი მოსარწმუნე შევიქნები. თამაზ-ყული-ხანმა განიზრახა ვა-მოკუენებისა ეს შემთხვევა შანშეს სელში ჩასადგებად და შეატყობინა ახალ-ცისის ფაშას, რომ მას დაჭერილი ჰყავს იმერეთის მეფე და იმას ისე არ მისცემს ფაშას, თუ შანშეს არ მოჰტკრინან.

ერთი ვინმე სულთან-ხანა იყო გაგზავნილი ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად. ეს ამბავი რომ გაიგო შანშემ, შეაკუდრა თავი ფაშას და მოახსენა, რომ ამ ნაირი მისი გარეშე ყოველი მანდობილების და სტუმრობის წვეულების დაწვევა იქნებოდა; მან სთხოვა ფაშას, თუ სსვაფერიკ ალანა გაწეობა-რა, დაითხოვოს ის სვანთქრის საბრძანებლიდან და მისცეს მას ნება, როგორც მოახერხოს, ისე დაიცვას თავისი თავი. იმის კედრებას ფაშამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია, შეკრა ის და გარდასცა სულთან-ხანს: ალექსანდრე ისევე უკან დაბრუნეს თავის სამეფოში, შანშე კი წაიყვანეს ისპანიში, სადაც თამაზ-ყული-ხანმა მას ამოათხრევინა თვალები. და ტფილისში სცხორებდა. ცოტა ხნის შემდეგ ისკანდერ-ხანიც მოკვდა. ქართველობა შეწუხებული შეაქნა იმის სიკვდილით და ჯერჯერ იმის ქებაში და სსოვნაში არიან. იმისი გვამი დასამარხავად იმის სამშობლოში, ხორასანში წაიღეს. თბილისის დიდბუღნიც და უბრალო ხალხიც, დიდი და პატარა, ყველანი უკანასკნელ პატრივ-საწყემლად გამოვიდნენ მის გასვენებაზედ და ჭაღაჭიდან შორს გაჰყუენ ტი-რილითა და მოთქმით.

ისკანდერ-ხანის შემდეგ საქართველოს მმართველად ემირი ასლან-ხანი დაინიშნა. მან მალე აგრძობინა ქართველებს იმის წინა-მოდელიის დაკარგვა. რადუნადაც ისკანდერმა შეითვისა



ქართველთა გული, იმდენად ასლანმა შეიძულა და განიშორა. ისინი ორნივე მამაცები იყვნენ, მაგრამ ასლანის სიმამაცეში სშირად სასტიკობა ენა, ისეგანდერის მხნეობა კი სულის სიმამლურ გვიძვინჯებდა. ისეგანდერი კეთილი და ქველი ვატი იყო; ის თავის შემოსავლის დიდს ნაწილს სამოწყვალად სცემდა და ეწეოდა თავის ქვეშევრდომებს. ასლანი კი ავი და მუნწი ვატი იყო და წყალობას არავის არ აძლევდა. თუმცა ისეგანდერი მამამადიანი იყო, ქრისტიანობას მაინც ვატივს სცემდა, თვით თბილისის ეკლესიებს მრავალი სამკაული შესწირა. ემირო ასლან-ხანი კი, ქრისტიანობის დაუძინებელი მტერი იყო და ამიტომაც უფრო სდევნიდა თავის ხალხს. მას არამც თუ ქრისტიანობა, მთელი კაცობრიობა სძულდა. თამარ-ყული-ხანმა რომანობის დროს დაიბარა ის სპარსეთში. როდესაც გადიოდა თბილისიდან, მთელი ქართველობა სწყევლიდა მას. იმის სახელს და სახსენებელს ისინი ესლაც აძაგებენ.

ასლან-ხანის დაბარების შემდეგ თამარ-ყული-ხანმა კახეთის ბატონი თეიმურაზი სრულიად საქართველოს მიუგოდ გამოაცხადა. თეიმურაზი ავიდა ტახტზე თბილისში 1740 წ. თეიმურაზის გამეფება რომ შეიტყო ასაეს შეიღმა, აბდულა-ხანმა, რომელიც წინედ მოვიხსენიეთ, აღუდგა მას და მიუგობას ეცილებოდა. მან თავისკენ მოამხრო თბილისში მცხოვრებნი ყიზილბაშები, რომელთაც აღუთქვას მას თბილისის გაცემა. ამათგან დაიმედებულნი აბდულა-ხანი მოადგა თბილისის ციხეს და გამოუცხადა ხალხს, რომ იგი თავის წინაშართ სამეფოს დატყუას ეძიებს, რომელსედაც თეიმურაზს არავითარი უფლება არა აქვს. გარნა ქართველები უზირატესობას თეიმურაზს აძლევდნენ, როგორც იმის ვარჯი სასიათისათვის, ისე ქრისტიანის სჯულის მიმდევრობისათვისაც. განდევნეს აბდულა-ხანი, რომე-

აღივ გამაგრდა თავის კოშკში ვაშლკანში, საიდანაც ცოტა ხნის შემდეგ გაიქცა და ახლაც არ იციან, სად გადაიკარგა ის. ამის შემდეგ თეიმურაზმა განიხრახნა ყიზილბაშების დასჯა, რომელნიც თბილისის ციხეში ცხორებდნენ. მან იერიშით აიღო ციხე. თავზე ზარი დასცა მათ და გაჭყარა ისინი იქიდან თავიანთ ცოლ-შვილით თბილისის სიასლლოვით ერთ სოფელში.

ტახტზე დამკვიდრებისათნავე თეიმურაზმა შესამჩნევი სამსახური გაუწია თამაზ-ყული-სანს. ჭაბუღში ერთი თავადი იყო სახეობრულად მამაცი, ის თავის ვაჟ-გაბრიელთან თვით მეფესაც წრდილავდა. სახელად მას ერქვა გივი ამილახვარი. თეიმურაზი სურამის კოშკში დაეცა მას და დაატყვევა. თამაზ-ყული-სანმა უბრძანა მას, გივი ცოცხალი მომგვარეო. როდესაც ის წაბრუნდგინეს, თამაზმა, წველების მაგიერ, კარგად მიიღო, თან დაჭყუნდა ომებში და დიდათაც გამოიყენა იმისი სამსახური. ამ ყაენის პოლიტიკა ამ გვარი იყო: როდესაც მას ალარ უშინლდა თავის მოღალატე ქვეშევრდომისა, თუ გი ის ვაჟ-გაბრიელ და ლირსეული კაცი იყო, დასჯის მაგიერ, იმას ამჯობინებდა, რომ სანდისსან შეწყალებით მოენადირებინა იმისი გული.

როდენიძე ხნის შემდეგ თამაზ-ყული-სანმა თავის კარზე დაიბარა თეიმურაზი; მაგრამ იქ წასვლასე თეიმურაზი არ დათანხმდა. ეტობდა, ვაი თუ ყაენმა ცუდი რამ განიხრახნა ჩემს ვაძლიერებაზე და დამღუპოსო. მან გაგზავნა თავისი ცოლი, კახტანგ მეფის ქალი, რომელიც ზღრე მოვიხსენიეთ, და დააბარა მას, თუ საჭიროდ დაინახო, შენ თათონ მოკლავარაკვეყენსო. როდესაც დედოფალი ყაენის სასახლეში გამოცხადდა, ის ყოველ-გვარი და დიდი პატივისცემით და კეთილ-განწყობილებით მიიღო თამაზ-ყული-სანმა, დედოფალმა ისეთი ჭკუით და მოჭალაქობით დაიჭირა თავი, რომ ყაენს გამოაცხადებინა

თავისი ქმრის ტახტზე დამტკიცება; დედოფალი ჩინებული და ძვირფასი საჩუქრებით დაჯილდოებული დაბრუნდა იქიდან და თეიმურაზს ჩამოუტანა როყამი, რომელითაც უახინ მას თავროზის, ერეკნის, განჯის და მოკელი მიდიის მმართველად ნიშნავდა. ადგილად წარმოიდგენს კაცი საქართველოს მეფის სინაზურულს, რომელსაც მან შეიტყო, რა მშვენიერი წარმატებით გაეთავებოდა დედოფალს საქმე. ის წავიდა თავროზის ჩასახარებლად. გამგელ იქ ისევ ძველი მმართველი დასტოვა და შემდეგ დაბრუნდა თბილისში; თამაზ-ყული-ხანმა ნება მისცა ეს ქალაქი დედ-ქალაქად გამოეცხადებინა. იმისი სინაზური სანგრძლივი არ იყო, მალე მოუკვდა ცოლი. მეფე გამოუთქმელმა ჯავრმა მოიცვა, რადგანაც ძალიან უყვარდა თავისი მეუღლე, რომელიც მართლად მშვენიერი სისიათის ქალი მეფე; ამისთანავე მეფე გრძნობდა რომ დედოფლის წყალობით უდიდესი ამბოღება მიიღო. ეს ის დედოფალი იყო, რომელმაც შესძინა მას ერეკლე, ის მეფე, რომლის ბედმა მოკელი ეგროზა ააფარა; ამ ყაზანად, ის გმირი, რომელიც შექმნილია თავის სამშობლოს და მშობლების განსაღიღებლად.

როდენიმე ხანს თეიმურაზი მშვიდობიანად ცხოვრობდა თბილისში და განზებდა კარგად ვრცელს სამთავროს, თამაზისაგან ჩაბარებულს. მაგრამ უახინმა მალე შეაწუხა ის. მან მოსთხოვა იმდენი სარჯი, რომ თეიმურაზი იმის გარდახდას ვერ შეძლებდა, ამისთვის შეუდგა თავის დაცვას და მთიულეთში წავიდა. დედოფალი ალარ იყო ცოცხალი, რომ ხელმოკრედ შეერიგებინა ისინი; ამ შემთხვევაში

თეიმურაზს განუახლდა თავისი ცოლის დაკარგვის ჭკვირი. მან გარდასწევიტა ყენთან ელჩების გაგზავნა იმის ასახსნელად, რომ იმისი გაქცევა არავითარ ცუდ განსრახვას არ მიაწეროს, რომ მხოლოდ სარკის გარდახდის შეუძლებლობამ აიძულა ის ისე მოქცეულიყო. რასაც თეიმურაზი მოულოდა, დესპანებმა წარმატებით შეასრულეს: თამაზი უთუოდ მოერიდა იმ მკვირს გადგომას, რომელიც თავის გულადობით, ნიჭიერებით და ძლიერებით განთქმული იყო და უნახუნს დესპანებს, რომ თეიმურაზს, იმის მაგიერ, რომ ყენისათვის შეუტანსუოფა არ მიუყენებინა თავისი საქციელით, შეეძლო თითონ აესხნა თავისი გაჭირებული მდგომარეობა. ყენმა დაუმატა, რომ მე დაძლევა სრულიად ფიქრად არ მომსვლია და, ვინაიდან თეიმურაზი ვერ ასურსებს იმ შეწყენას, რომელიც მას ყენმა, მოსთხოვა, ამის გამო ყენი მას სრულიად ანთავისუფლებს ამ გარდასახდისაგან. ამ ამბავით დამშვიდებული თეიმურაზი თბილისში დაბრუნდა და დიად მშვიდობიანად საქართველოს მართავდა თამაზ-ყული-ხანის სიკვდილამდე.

თეიმურაზი წლოვანებისა გამო თუმცა მას ღონე მოაკლდა, მაგრამ მისი ვაჟ-გაწობა არ დასუსტებულა. ამ უკანასკნელ წლებში ის გამოდიოდა ომში თავის შვილის, ერეკლეს წინამძღობლობით და არც ირცხვენდა იმის სულ-ჭკვით ყოფნას და მოადგილობას, ის თბილისში სტანოვრება ძალზე მოსურებული და დაკვირვებებული, როგორც გმირის წოდებით, ავრეთვე ბრძნის, კარგია სულმწიფის გულ-ჩვილი მამის, მამაცი მეომარის და ნიჭიერი სარდლის

სახელით. უგანასკნელ თავის უამს ის მხოლოდ შეიღის დიდუ-  
ბაზე იფიქრობდა და ამისათვის ვსურდა თავისი გამოცდილება  
დათათბირი მას არ მოაკლდებოდა.

—ძე.

დასასრული I ნაწილისა. \*)

\*) როგორც ამ თარგმანის დასაწყისში ვსთქვით, პეისონელმა გა-  
მოსცა ეს წიგნი პარიჟში 1754 წ. და დაარქვა მას გამოკვლევა  
სპარსეთისა და საქართველოს არეულობაზე. პირველი ნაწილი საქარ-  
თველოს უძღვნა. ჩვენ ვპოვეთ საინტერესოდ გაგვეცნო ქართველი  
მკითხველი საზოგადოება ამ თანამედროის კაცის შეხედულობას მაშინ-  
დელ მართლად სამწუხარო და გულ-საკლავ საქართველოს მდგომარეო-  
ბაზე. მეორე ნაწილი სამხრეთის ისტორიას შეიცავს, თუმცა აქაც ხში-  
რად ჩართულია საქართველოს ამბებიც, რადგან საქართველოს და  
სპარსეთის ბედი ერთობ შეკავშირებული იყო. მთარგ.

## წერილი მიზიცილად.

(კორესპოდენცია)

ჭიზიუში არის ერთი სოფელი, სახელად ბოდბე. ეს სასულიერო უკლას უნდა გაგონოს, რადგან აქ განისვენა ქართველების განმანათლებელმა წმ. ნინომ. ამას გარდა ეს სოფელი ძველის-ძველთაგან განთქმული იყო თავის სუპრობით და მისი მცხოვრებნი დღესაც გონებით ძალიან დაქვეითებულნი არიან. დღესაც ყოველი ბოდბელი კაცი უხვს საოხუნჯო მასალას ამღვებს სხვა სოფელებს. თვით წმ. ნინოზედ ამბობენ, რომ ეს ძლიერი სული მოადნეს ბოდბელებმა თავიანთი სიკეცხითა და სუპრობით. იმან თავის სულით აუშენა თურმე პატარა ეკლესია, რომელშიაც წელში მოურსრულად კაცი ვერ შევიდოდა. რაი თვე მოუნდა თურმე წმ. ნინო, რომ ესწავლებინა საყდარში შესვლას. მივიდოდა ასმახი ბოდბელი და აუუღებოდა კარებს: «აბა ეე როგორ უნდა შევიდე, ქამრამდინაც ძლივს მწვდება.» ახლა, ჩვენ დროშიაც ერთი ამგვარი საქმე ჩაიდინეს. ტყეებში რომ სახელმწიფოთღ დაარჩა და შეაგრა, ბოდბელებმა დაიწყეს ზრუნვა მასზედ, რომ მათი სასოფლო ტყე თემს არ ჩამოართმოდან და მით დიდო ზარალი არ მისცემოდან. უჭრეს, წინაჲს, აზრუნეს ჩვენმა ბრძენმა ბოდბელებმა და პოლკოს გადასწრეს — მხართონ არსა მმართებულს. ვინ დასწრს, ვინ დასწრს? ჩაიგდეს ხელში ერთი ჩინოენიკი და შეესხვეწნენ, ისეთი «მაგარი» არსა დაეწრა, რომ ჭა დაესხეთქანა. დაიწრს არსა «მაგარი» და საკმაოდ ამბიყენა ვინ ჩაიტანს ქალაქში



მმართველთან? — იი, კაცო! ვინ წაიღებს ამოდენა აწხას, მთელი სოფლის საქმე შიგ აჩის, გაკეყვანოთ სასოფლოდ ურემი, დავაკრათ ზედ წნელებით და წავიღოთ.» ასეთ მახვილ ჩჩვევას მთელი ყრულობა დასთანხმდა და წავიდა საქმე მსკლელობაში.

სწორედ ასეთი თუ არა, თითქმის ამ გვარი ჩჩვევა ყრულობა იყო წარსულ სამთარს, ბოდბეში კი არა—სიღნაღში, და ტყვის საქმეზედ კი არა, «დამზოგველ საზოგადოების» და-არსებაზე. უნდოდათ გაესხნათ ქალაქს სიღნაღში «დეპო». ბევრი სთქვეს, ბევრი ილაპარაკეს, აიღეს-დაიღეს, ასწონეს საქმე და ბოლოს დადგინეს—უთუოდ განსნან «დეპო» და შეუდგნენ წესდების შეთხზვას. არ დასჯერდნენ იმ პარაგრაფებს, რომლებიღებანაც შესდგება ხოლმე ყველა ამ გვარი წესდებანი და ზოგიერთი მჭკერ-მეტყველთა წყალობით შიიტანეს შემდეგი პარაგრაფები:

### § 1.

სიღნაღის «დეპო» არ ემზავსება არც ერთს, რომელიც კი არსებობდენ დედა-მიწის ზურგზედ. სულ ახალ, ჩვენგან გამოგონილ საფუძველზედ იქნება დამყარებული. მალეა გამჩინმ უწყის და ძირს დედა-მიწამ, რომ ჩვენ არა ვითარცა «დეპოები» არ გვინდოდა, მაგრამ დიერთმა რა უთხრას ზოგიერთთა მუქთა ჭრს და ამ ჩვენ «დროებას» (გაზეთას), რომ აღარ მოგვასვენეს.

### § 2.

სიღნაღის «დეპოს» ათი ათასო ვერც ეყოლება—სულ მასრის გლეხობა და ჩვენ ქალაქის ჩინოვნიკები-კი ყველა მმართველები ვიქნებით.

შენიშვნა 1: რაც ჩინოვნიკი უფრო რბ მოკიდებულია და



«ქრთამოლღოვის» კურსი მთლად დასრულებული აქვს, იმას უფრო მეტი სმს ექნება, როგორც ცხოვრებაში გამოცდილს და განვიითარებულს.

შენიშვნა 2. თავსმკვდომად ავირჩევთ იმას, ვინც უფრო მეტად აჩის დასულოვნებული «კარტის» თამაშობაში. \*)

### § 3.

ყველა ჩინოვნიკს შეეძლება წაიღოს საქონელი ნისიად «დეპოდამ» იმდენი, რამდენიც უნდა. ფული შეუძლიან დაუბრუნოს პირდაპირ «დეპოსკე», ან კიდევ იმ ფულით გაუმართოს გალაკან-გარეთ მმართველებს სადილი.

### § 4.

ყველა სიღნაღელ ქალებს ბურნუთი და კვეი უფასოდ მიეცემოდეს. ღვინო თუნგი ოთხ-გროშად იყიდებოდეს სიღნაღელუბისთვის.

შემდეგი პარაგრაფები მაგდენად საინტერესონი არ გასლავან, უგანასენელის გარდა.

### § 97.

ვინცობა «დეპო» დაიხუროს და საზოგადოებამ მოსპოს არსებობა, მაშინ, რაც საქონელი იქნება »დეპოში«, შეეწიროს სპიჩკა შვილის დუქანს, ხოლო დავთრები «წერა-კითხვის საზოგადოებას».

წესდება რომ შესდგა, ასტუდა მასლათი იმასკედ, თუ რით გაიგზავნოს ასეთი საგანგებო «წესდება» თბილისში. ფოსტა თუმიც დასძრავს, მაგრამ ერთი სათაბაღა გზა აჩის სიღნაღის გზა, ერთიც ვნახოთ «პოლსკა» გადამრუნდეს სი-

\*) ეს საჭიროა ფრიად, თორემ «ზანსედიანობედ» «სკუნობა» იქნება. წესდების შემთხვევლი.

თარას დუქან-წინ და ამოდენა ჩვენმა ღვაწლმა თბილისის მანგი-  
რად საქობომა ამოყოს თავიო. გადასწვიტეს შეესვათ კანდი-  
ერთ ცხაკელზედ, რომელიც სიღნაღში ძაღიან გვარობს, და  
გაეტანებინათ მისთვის.

საქმე საქმეზედ მოსული იყო. ყელა იმედოვნებდა,  
რომ არიქა გასერსდა საქმეო, მაგრამ დახე მუსთაღ ბედს!  
კაცს რომ ღმერთი არ მოუწუბოს სელს, არ მოუწუბოს! ამ  
ზაფხულს, დამტვიცუბას მაგიერ, სიღნაღელებმა მიიღეს იქვე  
თავიანთი «ურტაგა» წითლად აჭრელებული, ზედ დართვით,  
რომ ქ. სიღნაღმა ამ გვარი ღიბურალობა აღარ გაბედოს სსვა  
ღირსს. ამომშაღოს ყველა საზ-განსუელი ზარაგრაძები და სელ-  
ასლად წარგზავნოს დასამტვიცუბლად. ასე, ამ გვარ მღვდმა-  
რეობაშია აწ «დეპოს» საქმე.

\* \*

თუ ასე, კუს ნაბიჯით მიდის ჩვენში საზოგადო საქმე,  
ნაცვლად ამისა გერძო საქმეები დიდ წარმატებაში შედიან. ავი-  
ღოთ თუნდა აქაურნი ტუის მტკელები და სოფლად მკალნი ჩი-  
ნოვნიეები (РАЗУЧЕДНОЙ ЧИНОВНИКЪ).

კაცმა რომ სთქვას, რა არის ტუის მტკელი (ПОЛЪСОВ-  
ЩИКЪ)? ამ სელობას არც გონებრივი ცენზი უნდა, არც სსვა  
რამ. თვით «ლესნიხებსაც» (ასე ეძახიან აქ.) გადაჭრილი ჯა-  
მაგინიც დიდი არა აქვთ—თსუთმეტ მანათს სად ჯერ იმო-  
ვის კაცი. მაგრამ ახა უყურეთ რა თავ-პირის მტკერეკას ამ ად-  
გიღისთვის. ერთი მღვდელი, რომელსაც საკმაო მრევლი ჭყავს,  
გულ-წირველად მეფიცებოდა, რომ არა მტკსვენადეს, ანაფო-  
რას გაკინდიდი და «ლესნიხობას» ვითსოვდიო. მართლაც და  
ეს ვაუბატონები დიდ სასწაულთ-მოქმედებას სჩადიან. ურიებ-  
მა თვით მაცხოვარს არ დაუჭერეს, რომ მას შეეძლო იერუსა-

ლიმის ტაძარი, რომელიც 45 წელი აშენეს, დაეჭვივა და სამ დღეს ისეკ აუშენებინა. მაგრამ ჩვენ ვი უოველ-დღე ვსებავთ, როგორც ეს ბატონები არათუ დამ სამ ყვირას სამ სართულიან სასლებს წამოხდგამენ ხოლმე. ერთ ამ გვარ «ლესნიხების» არ ვიტყვიოთ უწესო, უღმერთო ქრეაზედ ბეკური დაწერილა ადგილობრივ გაზეთებში, მაგრამ ის მანც ვერ შეიძნა ადგილი-დამ. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ესე სულ ერთი თვის წინად მთელი წერილი იყო «დროებაში» იმის ბარბაროსულ ქრეაზედ, მაგრამ სულ ამაოდ. ეს გარემოება მით უფრო არის ღიწს-შესანიშნავი, რომ უფროსი ამ წუთბლებისა გასლავთ ქართული გაცა და მამსადაძე აქეს საშუალება ქართულის გაზეთის შემწეობით შეიტყოს ხოლმე უოველისთერი. მაგრამ მასლას! «რის ქართველობა, ვინ ქართველობა! განა რას გვაწყნს...»

ჩვენში ესლა პირველი ოჯახის-შვილები, პირველი საპატიო პირნი, პირველი სასურველი სტუმარი უოველი ქაზიყელი გაცისა, პირველი ძეიჯახადრენი «ლესნიხები» არიან. არა ნაკლები ძალით და დაუმსახურებელი პატივით არიან აღჭურვილნი სასოფლო ჩინოვნიკები. (ამათ ქაზიყელები პატარა ბატონს უწოდებენ მეტს სასულად). ღმერთმა შეარცხებინოს ამათთან უწინდელი მოურავები: შარშან რომ ჭატა არა ჭყოლია სასლში, წელს ცხვარს ისტუმრებს მთაზე: საიღამ, როგორა სდება ამ გვარი სასწაულები, ვერას მოგახსენებთ, მხოლოდ ბოროტი ენები ავრცელებენ ხმას, რომ, ვითომც ეს მოკლენა არის შენათესავეული ქრთამებთან, მაგრამ ტყუილი უნდა იყოს. აბა, რა ბრძანებაა, სიღნაღელი მწკრალი ქრთამს აიღებს?! დიდი ჭკრთა: აქ მიზეზი სჩავა აუნდა იყოს, რომელსაც ქაზიყელი მოკლე ჭკუა ვერ მისწვდენია.

\*\*

სულის საქმეზედ მოგასსენოთ რამე? მოდი დაწიეს; ამ საქმეების გამგებლებს როგორღაც უკელამ ება დაადგა და მეშინიან, რომ აქედამ ცუდი არა გამოვიდეს-რა. მაინც და მაინც ამათ რაში უნდა დავემდურეთ. სურამელი მ—ლისა არ იყოს, ესენიც თავ-თავის დროზედ ჰქეკენ ზარებს და თუ ხალხი არ დაიარება, ამათი რა ბრალაა, თუ ღმერთი გწამთ. არა, ჩვენი მ—ებს ვერ დავემდურებით. ესენი არა თუ ზარებს თავის დროზე ჰქეკენ, სანივარიც შეაქვთ გლეხებსედე, რომლებიც ეკლესიაში არ დაიარებიან. ერთსა ჰკითხეს, რატომ საუდარში ხალხი არ დაიარება და იმან პასუხად ეს მოახსენა: აება ერთი ხუთი ჩათვარი მამე თავიანთი მათრახებით და დაგნახებდნი, რაც იქნებოდა. » ამ მოახსენებებს არც მალარყოლების ლოლიკა დაუფარდება. ხარჯის გაწერის დროს სოფლის კაცებმა შეძგობა გადასწყვიტეს: შეეწეროს საქანლის პატრონებს ხარზე, კამენზე და ცხენზე—სულზე ორი აბანი, ას სულ ცხვარზე—ნ მინათი და დორზე სულზე ხუთი შაური.

ამ გვარი გადაწყვეტილება უკველია გამოწვეულია წრფელის სურვილით: შეუმსუბუქდეს ხარჯი შეუძლებულს და მიუმატოს შეძლებულს, მაგრამ ნამდვილად გამოვიდა ის, რომ ნაღდი ფულის პატრონნი დარჩნენ უხარჯოდ და ათიოდე სული ძროხის პატრონს კიდევ გაუღვიძეს ის აზრი, რომ სწყობს გაუიღოს საქონელი და ფულად ამუშავოს, რადგან ასე ცალკე სოფლის ხარჯს ასცდება და ცალკე კიდევ თუმიანზე ათი შაური თუ ში საჩუბელი ურიგო არ იქნება. მალარყოლებმა ისმარტივობა მოახსენებთ დაიფიქრეს, რომ შეიძლება ყველს ასი თუმიანი შინ ნაღდი ედოს და უგარი ხარის მეტა არა ჰყვანდეს უწინდელ დროში, მართლა, კაცის შეძლება ცხვართა და ძროხით იზომებო-

და. ესლა კი სსკა დროა. ამირსანოკს თუ მარტო «სსუდნი კასა» აქვს, კეკა სიმდიდრეში დავიკარდეთ!

\* \*

ქიზიუელები მეტადრე ამ უკანასკნელ სწნებში ძალიან შე-  
ეჩვივნენ არაყს. თვალს არა სჯერა, როდესაც ჭსუდავ დიდ კაკ-  
ლის გრილში რა უზარ-მზარსი გრძფინებით არაყს უღებენ  
ბოლოს. თვით ჩემს სსოკაში, ადრევე, სათავილად მიანნდათ  
უკვლას ერთ სტაქანსედ მეტი არაყის დალევა და ახლა კი ჩვე-  
ნი ღვინის მომყანნი ერთმანეთს შეჭკვესინ: მე ათი არაყი  
დავლე, მე ოცი, მე თსუთმეტო. ეს გარემოება, რასაკვირ-  
ველია, შედეგია ღვინის სძვირისა. ღვინო მადის თბილისში  
და სსკა ქვეუბში. რა იქნება, როცა რვინის გზას გამოატა-  
რებენ ჩვენგან, ის აღარ ვიცი. ჩვენ ქიზიუელები, როგორც  
არ თანავუგრძნობთ ამ რვინის გზას და ეს თუნდ უზღველ-  
ბაში ჩამოგვართვით, თუნდაც გონებით განუეთაჩებლობაში,  
თქვენი ნებაა. აბა იფიქრეთ, ჯერ არც რვინის, არც სვირინი  
შოესეს გზებია და, რაც მამულები გვებადა, სულ წაგვივიდა სე-  
ლიდამ; რვინის გზა რომ მოგვადგეს, სომ დავრჩით ცარიელ-  
ცარიელები. სომ დავკვსვია ათასი ჯურის კატები და გამოგვა-  
ცალეს ხელიდამ ეს ჩვენი ერთი მტკაველი მიწა-წყალი. ნუ-  
იტყვი, რომ ჩვენც მამინ ჭკუას ვისწყალით და მამულებს  
აღარ ვავყიდით. არა, იქნება ვლესობამ კი ჭო, მაგრამ თავა-  
დობამ—თქვენი. მტკარი, იმათ მეორე დღესვე გამოცდლებათ  
დედულ-მამული, გამოცდლებათ ისე, რომ თითონვე უკვირდეთ  
და ვერ გაკვირებულყვენ. აბა-რა! რვინის გზა იყოს და ჩვენი  
«გნეინები» და «გნეინები» აქ-და დავკვირებინ? ჩვენებურ  
«სუენხობას» რაღას ვაუძლებენ ისინი?!

მინელი ნესიძე.



სომხეთისა და სამართავლოს დამოკიდებულება ვიზან-  
ტიასთან საზოგადოდ და გვ-X ს — ში ქეჩოდ.

(წერილი დ. ბაქრაძისა).

I \*)

აწინდელს კერძოებულს სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ საუ-  
კეთესო თხზულებად ვიზანტიის იმპერიაზედ ჩემის ფიქრის უნდა  
ჩათვალოს წიგნი ამ სათაურით «L' Empire grec au dixié-  
me siècle», რომელიც გამოვიდა პარიჟში 1870 წ. ამ თხზუ-  
ლების ავტორი აღიქმედ რამბო ცნობილია მრავლის სტატისტი-  
კით რუსეთის შესახებ Revue des Deux Mondes-ში, და  
მეტადვე კავშირდების თხზულებით, Histoire de la Russie  
depuis les origines jusqu'à l'année 1877 წ., რომ-  
ლიდამაც ცხადდა სჩანს, რომ ავტორის საფუძვლიანად შეუსწავ-  
ლია ცნობები რუსეთის შესახებ. აღიქმედ რამბოს L' Empire  
grec უკავშირეს კარგელ ცნობებს ვიზანტიასზედ მრავლ. საუკუნე-  
ამ ცნობათა შორის მას მოჭყუებს სომხების ისტორიკოსების  
ცნობანიც, რომელნიც უკავშირეს კერძოდ იმისთანა შესახებ  
პირების შრომათა წყალობით, რთვლადნიც არიან ეს სენ-მარ-  
ტენი, პრიუდომე, დიულორე და ლანგლუა.

\*) წაგითხულ იქნა 9 დეკემბერს 1881 წ. კავკასიის ისტორი-  
ისა და არხეოლოგიის კრებაზედ:

ჩვენთვის ამ შენიშვნის დაწერის მიზეზად გასდნენ ზოგერთა ქართული აზროვნების ცნობანი, რომელნიც ნათელსა ჭებუნს საქართველოს კიზანტიასთან დამოკიდებულებას მეცხრე და მეათე საუკუნე; მაგრამ სინამდვილეში ცნობებზედ დავიწყობდეთ საუბარს, საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ რამდენიმე თხზულებიდაც ერთი ადგილი, რომელიდანაც ნათლად დავინახავთ კიზანტიის ვითარებას.

«ამ გვარად, ამბობს რამდენიმე თავის წიგნის ბოლოს, აღმოსავლეთი ევროპის ყველა ხალხებს მეათე საუკუნე ჭებუნდათ თავიანთი წარმომადგენელი იმ ადგილებში, რომელნიც საბერძნეთის იმპერიის ახლოს მდებარეობდნენ: ლათინებს და გერმანიელებს—დალმატები და იტალიელები; არაბებს—არაბები სინდისა, კირტისა, აღმოსავლეთისა; სომხებს—ბაგრატიდებო და მათი ძეგლანდელი სამთავრონი; რუსებს და უკრაინებს—ბულგარები ვოლგისა, უზები, პენინელები, ხაზარები და მადიარები; სლავანებს—რუსები, ბულგარები დუნაის ნაპირისა, სერები და კრეატები. თვით იმპერიაში, იმის ქვეშევრდობითა შორის, ხსენებული ხალხების წარმომადგენელი იყვნენ: ლათინებისა—გლახები და ბალკანისა; არაბებისა—მონათლული ტყვეები; სომხებისა—სომხების კოლონიები ქრისტიანობაში, მაკედონიაში და ანატოლიაში; რუსებისა—კოლონიები რუსებისა ვარდარში და რუსთაში; სლავანებისა—მილინგები, უკრაინები, რუსები და სხვ.

საბერძნეთის იმპერიას არ ეშინოდა ბერბერებისა, რომელნიც მას ეტანებოდნენ; პირიქით თვით იგი იმდენად მათ თავისთან და ცდილობდა მათს შეთვისტომებას. იგი ამდენად მათ გზას თავის ჯარში, აღმინისტრაციასში, სასახლეში, ეკლესიასში. ამ არბთან, რუსთა, სლავანთა, სომხთა შორის იგი



ეპედა თავისთვის სალდათებს, გენერლებს, მსაჯულებს, პატრ-  
 რაირებს, იმპერატორებს. საბერძნეთის იმპერია აღმოსავლეთ-  
 ში გვავიწყობს რომის პაპის მონარქიას: ის ერთი ან მეორის  
 ხალხისთვისაგან შემდგარი სახელმწიფო კი არ იყო, არამედ  
 იყო დაწესებულება, რომელიც შეადგენდა მთლად კაცობრიობის  
 სამკვიდროს. ვიზანტიის წმინდა იერარქია, როგორცაა სამ-  
 დრო კოლეგია რომის კარდინალებისა, შესდგებოდა მთელი  
 ქვეყნის დიდებულთაგან. როგორც საშუალო საუკუნეებში ჩვენ  
 ვხედავთ პაპობად იტალიელსაც, ფრანგულსაც, ინგლისელსაც,  
 ნემენსსაც, ისპანიელსაც, სწორედ ასრევე ვხედავთ იმპერატორ-  
 ბად ვიზანტიაში სომეხსაც, ისპანსაც, სლავიანსაც და თვით  
 ვიზანტიელსაც. ვიზანტიაში ენასა და ხალხობას კი არ აქ-  
 ცუდებენ უწყაღლებს, არამედ ნათლისღებას. მხოლოდ ერთი  
 ნათლისღება ისევე უღებდა კარებს სამმართველოში შესვლისა-  
 თვის ახლად, როგორც თვით ეკლესიაში შესვლისათვი-  
 საც.

აგასაოცარს სახიფათეს წარმოგვიდგენენ ჭარბი, რომელ-  
 თაც რომაულ ჭარბებს ეძსოდენ იუსტინიანის ჭარბი შესდგე-  
 ბოდა ანტების, სლავიანების, გოტების, გერულების, ვანდალებ-  
 ბის, ლომბარდების, სომხების, სპარსების, მხვრების და გუ-  
 ნებისაგან. ივინი იბრძვიან იტალიაში, ისპანიაში, აფრიკაში,  
 ეგვიპტეში, დუნაისზედ და ეფრატზედ. სხვა და სხვა ქვეყნ-  
 ბიდან შეკრებილნი, ივინი იგზავნიან თავის დასადებად სხვა და  
 სხვა ჭავის მხარეებში. ამასვე ვხედავთ იუსტინიანის შემდგავც.  
 საჭიროდ არა ვსთვლით ჩამოვთვალოთ ის უცხო ქვეყელი გუ-  
 ნერლები, რომლებიც წინ უძღოდნენ ვიზანტიის ჭარბს იუსტი-  
 ნიანის მოადგილეების დროს, რადგანაც მათი ჩამოთვლა დიდს  
 ადგილს დაიჭირდა.

«ჯარებში და ვიზანტიის სასახლეში მოსამსახურე პირთ-  
რიცხვში სლავიანები და სომხები უფრო ბევრი უკია...»

«სომხეთი ბლადად ჰკზანის ვიზანტიაში თავის შვი-  
ლებს; მაგ., ქალდეიადმ, საქართველოადმ, სპარსეთის და ვიზან-  
ტიის სომხეთიდან, აგრეთვე თავისუფალ სომხეთიდგან მიდიან  
ბევრნი მძებარნი ბენიერებისა უმღლესი თანამდებობის დასა-  
ჭერად გარდაში და სამოქალაქო სამმართველოებში. დასაწყისი  
სომხეთის პირველი დინასტიისა ვიზანტიაში დასდო ლეონ მე  
V: ყველა ისტორიკოსები ერთ გვარად გვიამბობენ იმის შთა-  
მომავლობას. ამას ამტკიცებს თვით იმის შვილის სასულედ  
სიმბატის, სამბატეს ანუ სემბატ; სასული მეფის ბარდანისა  
ანუ ვარდანისა, რომელიც იყო მისეილ მე-III ბიძა, სომ-  
ხური სასულია. მიხეილ მე-III სასახლეში მეოთხე პირვე-  
ლად დროგვრად, მერე ლოგოთათად პარტივი კოსტან-  
ტინე, შვილი მისი თომას, აგრეთვე ლოგოტიტი, სომხე-  
ბივე არიან. ივინი, რომორც სომხები, თავის საფარველს ქვეშ  
იღებენ თავიანთ თანამემამულეს ვასილ მაკედონელს. იოანე ქალ-  
დეველია, სპარსული ევლოგოს და ამტკაცხი, რომელთაც უმა-  
ღლესი ადგილები უჭირათ და იღებდენ მონაწილეობას ვასილის  
შეთქმულობაში მისეილ მე-III მოკვლის შესახებ, აგრეთვე სსვა  
და სსვა პროკინციის სომხები იყვნენ (ქალდეიადმ, სპარსეთის  
სომხეთიდან); მათ მახულის შემწეობით თავიანთ თანამემამუ-  
ლეს დაატყინეს ხელმწიფის ტახტი.

სომხებისაკე ტომს ეგუთვნიან: მიხეილ მე-III დროს მს-  
კედონის სტრატეგიატი კორდულესი და შვილი მისი ვარდანი;  
იოანე გუჩუენ დომესტიკი იკონანტისა, რომელმაც 886 წ.  
შეადგინა შეთქმულება ვასილ I წინააღმდეგ; ვასილი I დროს  
ალექს სტრატეგი კიპრას; ლეონ VI დროს იბერელი გრი-

გოლი Domestique des Schola<sup>1)</sup>; ამოტი მხარგრძელი, მოკლული 992 წ. ბუღჯარაჰიგონთან ბრძოლაში.

«კოსტანტინე VII დროს ვეველან სომხებს შესვლებით: გურტირეს, რომელმაც კოსტანტინე დუგის შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო და იარაღით ხელში სასახლეში შეკარდა; ჰენკრატუგას, რომელმაც ადრიანოპოლი ბუღჯარებს მისცა, ვართან ბუღას, ქაღდეის სტრატეგი და დამწეობა სომხების შეთქმულებისა რომან ლაკაპენის წინააღმდეგ; და თვით ლაკაპენი, ლაკაპენიდაძე, არმენიაკის პრევიზიტიდაძე; ბოლოს მთლად ქოკის დინასტია: ნიკიფორე, გენერალი ვასილ I დროს, ბარდას ანუ ვართან და შვილი მისი ლეონ, მოკლულ ლაკაპენისა; სამივე შვილი ბარდასისა—ლეონ, კოსტანტინე და ნიკიფორე გენერლები კოსტანტინე VII დროს, აგრეთვე თვით ეს უკასახელებიც; ნიკიფორეს ძმის-წული ვართან-ბარდასი, რომელმაც აღმართა შეთქმულების დროს ციმისხად წინააღმდეგ.

«სომხები ვიზანტიის იმპერიის განათლებაშია იღებდნ მონაწილეობას. ვიზანტიის უფლების მესტორიენი ვასილე ბენ რას იურისკონსულტს—სომხებს სიმბატიუსებს ანუ სემბატებს: ერთი მათგანი იუსტინიანის დროს სტრაპოგონდა და დაწერა იმის სჯულ-განხონის განმარტება, ხოლო მეორე ლეონ VI

<sup>1)</sup> Domestique d' Orient ou Grand Domestique, დომესტიკოს ტონ სხლონ, le commandant des forces militaires dans les provinces orientales de l' empire byzantin, assimilé par Guillaume de Tyr au sénéchal. Duloirier Recueil des historiens des croisades—Documents arméniens, t. I, p. 838.

დროს თავმჯდომარეობდა იმ კანონ-მდებელს კომისიაში, რომელიც კანონებს ასწორებდა. არც უკრის კიზანტიის დინასტიას ან აღმორეცენას იმდენი იმპერატორი — მწერლები, რაგდენაც მკვლადონიელის სახლმა, რომელიც, კონსტანტინე VII სიტყვით, იყო შთამამაკალი სომხების აწმკიდთა, — განდევნილთა სომხეთიდან სასანიდებისაგან და დასახლებულთა მკვდონაში. მე-X საუკ. ყველაზედ უკეთესი ლიტერატორები ორა იმპერატორი იყო — ლეონ VI და კონსტანტინე VII. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელის თხზულებას «De administrando imperio» სლავიანების ხალხების, კენგების, ზენგების, სარების, ვაკასიის და სომხების ქვეყნების ისტორიისათვის, ამას ცხადად დაინახათ, ამბობს რამბო, ჩვენი გამოკვლევიდან იმ ხალხების შესახებ, რომელნიც იმპერატორთან დაახლოებული იყვნენ. ყველა ამ ქვეყნის ისტორია მცხრე და მეათე საუკ. სრულიად დაკარგული იქნებოდა, თუ რომ კონსტანტინეს თხზულებას De administrando ჩვენამდის არ მოკლია. ამ თხზულებაში კენგები, სამსრეთის სლავიანები, რუსეთის სამსრეთისავე მცხოვრებნი იპოვიან თავიანთ ისტორიის დასაწყისს და მოძრაობას ჩრდილოეთისკენ. ეს თხზულება არის საფუძველი ოცი სხვა-და-სხვა ხალხთა მართიანებისა. ეს თხზულება იგაჟა ეროზის მონაზირე ხალხებისათვის, რაც არის დაბადება და გეროდოტი აღმოსავლეთის ხალხებისათვის, ცქარი კვლტებისათვის, და ტატიტი გერმანიელებისათვის. <sup>2)</sup>

თუ რაგდენად დაშორებულია ქეშმარიტებას ზემომოყვანილი

<sup>2)</sup> L'Empire grec., p. 45 — 146, 173 — 174, 531 — 538.

აზრი რამბოსი, ამაზედ სჯა სხვისთვის მიგვიდგია; ჩვენ ჩვენის მხრით მივაქცევთ ყურადღებას რამბოს თხზულების ერთს სუსტს ალავს: ეს სუსტი ალავი არის ბუნდად ცოდნა გეოგრაფიულის და ეტნოგრაფიულის სამზღვრებისა ორი მეზობელი ხალხისა, სომხებისა და ქართველებისა. ამის შესასებ რამბოსთან ერთად სტაბიან კეროპის სხვა ავტორიტეტებიც, რომლებიც კი სომხეთსა და საქართველოს ესებიან, სასულდობრე უნ და ვივიენ სენ-მარტენი, დიულორიე, ლანგლუა. რამბო, როგორც სხანს ეს შემომოყვანილი ადგილებიდან, საქართველოს ანუ ივერიას ძველის სომხეთის ნაწილად სთვლის. უნ სენ-მარტენი, რომელმაც პირველად გააცნო კეროპის სომხეთი თავის შესანიშნავის თხზულებით «Memoires historiques et géographiques sur l'Arménie», სომხეთის ნაწილად სთვლის. შთლად ჭოროხის ბასეინის და მტკვრის სათავე ნაწილებს, სასულდობრე ტაიკს, აგრეთვე გუგარკს ანუ ესლანდელს სომხეთს. იგი ამ შემთხვევაში ზოგიერთა სომხების აზრს თანაფერძნობს და ამტკიცებს, რომ მესუთე საუგ. სომხეთის დაცემის შემდეგ ეს პროვინციები ქართველებმა დააჭირესო.<sup>3)</sup> წინააღმდეგს აზრს, რომელიც ქართველების მატთანებს ეთანხმება, გამოსთქვამს დიუბუა-დე-მონპეკე: იგი ამტკიცებს, რომ ჩვენი ერის პირველი საუკუნის დამლევეს, ეროვნად მეფის დროს, სომხებმა გამოგლიჯეს ქართველებს ჭოროხის ბასეინი და შემდეგ ქართველებმა დიდის მეტადინეობით და სისხლის ღვრით თავისი საკუთრება თვითონვე დაიბრუნესო.<sup>4)</sup> «Histoire du Bas-Empire» ავტორი ლეო გვარძინებს, რომ გუგარკი, მდებარე იბერიის ახ-

<sup>3)</sup> Mém. sur l'Arm. I, 66—86.

<sup>4)</sup> Voyage autour du Caucase, II, 275.



ლას, დასასჯლებული იყო იბერეთის, და ამისათვის სამხედრო-  
მისი მმართველნი იწოდებოდნენ იბერიის ბლეშხებათ<sup>5)</sup>; დიუბუა  
გი გვარწმუნებს, რომ გუგარკის მცხოვრებნი სომეხნი იყვნენ  
და ამისათვის მათმა ჩრდილოეთის. მუხომლებმა ქართველებმა  
იმის ქართული სახელ-წოდება სომხეთი სხვა სომხეთის ნაწი-  
ლებსაც დაარქვეს. <sup>6)</sup> ოთი ამისნება ერთსა და იმავე საგანზედ  
ეს ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი აზრი იმისთანა ავტორიტე-  
ტებისა, როგორნიც არიან ლეო, სენ-მარტენი და დიუბუა?  
ჩვენის აზრით უმირველესი მიზეზი ის არის, თუ ვინ რა სისტემას  
მისდევს ისტორიის შესწავლაში. თვით ძლიერი და ფრთხილი  
გონებაც ვერათვის განდება, თუ რომ იგი, რომლისაჲ ხელ-  
ხის ისტორიის შესწავლის დროს შედარებითი მეტოდით არ  
აღიჭურვება. ეს მეტოდი განსაკუთრებით საჭიროა სომხეთისა  
და საქართველოს ისტორიის გარკვევის დროს, ე. ი. საჭი-  
როა, რომ სომხეთისა და საქართველოს მატრიანნი ერთი-ერთ-  
მანეთის შედარებით აქმინენ შესწორებულნი. უამისოდ არც შე-  
იძლება, რადგანაც საქართველოსა და სომხეთის ბედი თავ-და-  
უმირველადვე ისე არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი, რომ მა-  
თის ცხოვრების მრავალთა მოკლებნათა გამოარკვევა უამისოდ არ  
შეიძლება, თუ ამ ორივე ქვეყნის ისტორია თანხანად არ აქ-  
ნება შესწავლული. საზოგადოდ, თუ რანაირად სცდებიან სამეც-  
ნიერო ტრაქტატებისავტორები ჩვენი ქვეყნის შესახებ იმ მიზე-  
ზით, რომ მათ არ ნაკლებად აქვეთ ქართული მწერლობა, შესწავ-  
ლილი ჰქონ სრულიად არა აქვეთ, — ამის დასამტკიცებლად ვუჩვენ-  
ებთ კავკასიის ისტორიიდან იმ მოკლებნას, რომელსაც ევრო-

<sup>5)</sup> Hist. du Bas-Empire, IV, 261.

<sup>6)</sup> Voyage, IV, 158.

ვის მეცნიერნი თუძცა სშირად შეეხებინან, მაგრამ ვერას-  
 გზით ვი ვერ შეუგნიათ. ისტორიულს გეოგრაფიაში არა უკ-  
 თი შემთხვევას, რომ მთელი პრეგინციების და ხალხების სა-  
 ხელწოდება დამყარებულა რომლისამე შემთხვევითის გარემოების  
 გამომ. ასე დამყარდა ვიზანტიის პირველი პერიოდის დასა-  
 წყისში სახელწოდება ლაზიკა, აფხაზეთი. ლაზები უძველეს-  
 დროდამ მოსახლეობენ ტრანპონის ახლას მდებარე მთებში,  
 აფხაზეთა ტომი ძველად სასლობენ ზღვის პირად მდინე-  
 რის კოდროდამ მოყოლებით სოხუმსა და გაგრამდე. ბერ-  
 ძნებმა ლაზების სახელი უწოდეს დასავლეთ საქართველო-  
 საც, ე. ი. გურჯისტანს, სამეგრელოს და იმერეთს. მსწავლელნი  
 ვი ლაზების გარეცხვებს სხვა ნაირად ხსნიან: ლებო ამტკიცებს,  
 რომ ბაბაროსმა ლაზებმა დაიჭირეს კოლხიდა, რისათვისაც  
 მას ლაზიკა დაერქვა. 7) უოკელთვის, როცა ვი რომელ-  
 სამე მეცნიერი შეესება აფხაზეთის სამეფოს სამუალო  
 საუგუნოებში, მაშინვე აფხაზეთის ტომს წინ წამოაყენებს  
 სოლმე, მაშინ როდესაც ამ სახელით ახლანდელი იმერეთი  
 უნდა იგულისხმებოდეს. იმერთმა მიიღო სახელწოდება «აფხაზე-  
 თი» განსაკუთრებით იმისთვის, რომ ქართლ-იმერეთის ბაგრა-  
 ტიდების დინასტიაში თავის საუფუძველი დაიღო აფხაზეთში მე-  
 რვე საუკ. 8) იმერეთს ამ დროს სხვა სახელწოდება არა აქვს.  
 აი ამისათვის თუ გინდ გითქვამს სიტყვები: აფხაზეთის დი-  
 ნასტია, აფხაზეთის კათოლიკოსი, აფხაზეთის ხალხი, აფხა-  
 ზეთის სამეფო ნიშნავს: იმერეთის დინასტიას, იმერეთის კათო-  
 ლიკოსი, იმერეთის ხალხი, იმერეთის სამეფო — სულ ერთისა ღ.

7) Hist. du B. — Emp., VI, 385.

8) Hist. de la Géorgie, I, 259.



მავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. სასულ წოდება იმეკეთი-  
საქართველოს ისტორიაში პირველად აღმოჩნდა დაეთ აღმაშენე-  
ბელის მეფობის დროს (1089—1125) ჯერ როგორც იმე-  
რეთი<sup>9)</sup> შემდეგ იმერეთი: იგი შესდგა სიტყვიდამ იმერ, მე-  
რე გახდა იმერი, ლიხთ იმერი, წინააღმდეგ სიტყვისა ამიერ  
ამიერი, ლიხთ ამერი. ამ მოსახრებათა გამო სრულიად არ  
შეიძლება მივიღოთ არც ვიკინ სენ-მარტინის აზრი, რომელიც  
ამტყვიცებს, რომ რომელიცებს შემდეგ ჰომიპის ვალაშკრებისა  
გოლსიდაზედ სიტყვა ივერია ჰპოვეს იმეკეთი სახელ-წოდებ-  
აში,<sup>10)</sup> არც განსვენებული უსლარის აზრი, რომელიც, უარ  
ჰყოფს ერთი სიტყვის მეორედამ გადაღებას, მაგრამ იმას ვი  
ამბობს, რომ სიტყვები იმერი და ივერი ერთი და იგივენი  
არაიანო.<sup>11)</sup>

დამოკადებულება სომხეთისა და საქართველოსი ვიზანტიის-  
სთან, რომელიც არის ამ სტატიის საგანი, დაიწყო ვიზანტიის  
დასაწყისადმივე და იმას ისტორიის შემდეგს საუკუნეებშიც  
არ შეწყვეტილა ეს დამოკადებულება. აქ საჭიროა შევნიშნოთ,  
რომ ვიზანტიის იმპერია, ცნობილი აგრეთვე საბერძნეთისა და  
აღმოსავლეთის იმპერიადაც, დაარსდა 330 წ. შემდეგ ქრისტ.  
დობად., როდესაც კონსტანტინე დიდმა ძველი ვიზანტიის ალა-  
გას დააფუძნა ახალი სატახტო ქალაქი კონსტანტინეპო-

<sup>9)</sup> Hist. de la Géor., грузинский текстъ, I, 244.

<sup>10)</sup> Recherches sur les populations primitives  
du Caucase, p. 64.

<sup>11)</sup> Древнѣйшія сказанія о Кавказѣ, Тифлисъ,  
1881, стр. 303.

ლი<sup>12)</sup>, რომლის არსებობაც 1453 წ. დასრულდა, როდესაც იგი, მაჭმედ II დროს ოტტომანის სამხალთ საკუთრებად შეიქნა. ამის არსებობის დროს განმავლობაში ისეთი საქმეები მოხდა, რომლის მაგალითსაც მთელის ქვეყნის ცნობილს ისტორიაში არა ვხვდავთ. მე ვამბობ ევროპაში ბარბაროსების დაუსრულებელს შემოსევასზე. ესენი იყვნენ: გოტები მეოთხე საუკ., გუნები მესამე საუკ., სლავიანები და ანტები მეექვსე საუკ., ავარები და აზბები მეშვიდე საუკ., ბულგარები, რუსები და კენგრები მეოთხე, მეცხრე და მეათე საუკ., კუძანები, ჰუნგარები და სელჯუკები მეთერთმეტე საუკ., ოტტომანები მეთოთხმეტე საუკ. თუძცა დამოკლს მასელი ვიზანტიას თავსე ჭქონდა დაბჟენილი, მაგრამ იგი მანც შეიქმნა აკვანი ევროპიის ცივილიზაციის (განათლების): მან დაჭბადა შესანიშნავი მეისტორიანი, კანონის მცოდნენი, ორატორები, მისიონერები, ანხიტექტორები, მსატერები (живописцевъ), მინიატიურისტები და სხვ. აარც ერთი ხალხი, ამბობს რამო, არ გადაურჩა ამის გააღენს. მან დაჭბადა სლავიანების, ბულგარების, მადიარების და ვარიაგების ურდოებიდამ ქრისტიანი ხალხები სერბიისა, კროაციისა, ბულგარისა, კენგრისა, რუსეთისა. თვით საზარებიც ვი, რომეღნიც იმახედ მოშორებით სცხოვრებდენ, დაარბილა ვიზანტიის განათლების სსიპმა. ვიზანტია სლავიანების და აღმოსავლეთის ხალხებისთვის იგივე იყო, რაც რომი დასავლეთის და გერმანიის ქვეყნებისთვის. ეს ხალხები მისგან არიან დაკალბულნი სარწმუნოებით, რადგანაც კენგრიდამ მოყოლებული სომხეთსა

<sup>12)</sup> I. Sabatier, Description générale des monnaies, Paris bysantines, 1862, I, 25; Lebeau, Hist. du B.—Emp. I, 310:

და აბსინთამდის მან მოჭფინა სახარების სწავლა, ლიტერატურულის ენით, რადგანაც მან მისცა სლავიანებს გიორგის აღქა-ვიტი, სოლო გოტებს ულდილის აღქავიტი, და, ბოლოს, თვით ლიტერატურითაც, რადგანაც თავი და თავი გამკარცელ-ბუნნი სლავიანების ცივილიზაციისა იყვნენ ან ბერძნების მონას-ტრები კილანჯარისა და ათონის მთისა, ან ის მონასტრები, რომელნიც თვით ბერძნებისაგანვე იყვნენ დაასუბუნნი კიევში, ბუღჯარაში და სერბიაში. პირველად თესალონიკის ბერძნებმა უთარგმნეს სლავიანებს სამღთო წიგნები. პირველი შრომა ბუღ-გარის ლიტერატურისა მიბაძვა იყო ბერძნების აკტორებისა, რუსეთის პირველი შემატანე ნესტორი აღტაცებული იყო ბერ-ძნების მატანეებით, რისგამოც მან გადიოილა იქიდან თვით თქმულებანიც სასწავლებლად, რომელნიც შემდეგ იმის თანამე-მამულეთა შორის გავრცელდა».<sup>13)</sup>

ამ სიტყვებში ცხადად ისტება ვიზანტიის გავლენა სომხეთსა და საქართველად. ერთადერთი დამკვიპირებული სა-განი ვიზანტიისა საქართველოსთან და სომხეთთან იყო ქრის-ტეს საწმუნება. ეს საწმუნება გარცელდა მეოთხე საუკუ-ნის პირველს ნახევარში პირველად სომხეთში და შემდეგ საქართველში.<sup>14)</sup> საბერძნეთის გავლენით გაისხნა მათში სკო-ლები, რომლებშიც ასწავლიდნენ ბერძნულს და სირიულს, ანუ უკედ ვსტჰვთ, სირიაჰის ენებს,<sup>15)</sup> და ამასთანავე სომხეთის და საქართველოს ყმაწვილები იგზავნებოდნენ უმაღლეს სასწავ-

<sup>13)</sup> L' Empire grec., préface, p. VIII—X.

<sup>14)</sup> Lebeau, Hist. du B.—Emp. I, 76, 291—292.

<sup>15)</sup> Langlois, Collection des histor. armen., I,

ლებლებში, რომლებიც მაშინ ჰყვარდნენ კონსტანტინოპოლში; ათინაში, პალესტინის კესარიაში და ალექსანდრიაში.<sup>16)</sup> სომხეთში შირაკელნი მემეტანენი, რომლებსაც საქართველოს მატრიარქობედანაც ჰქონდათ გავლენა, იყვნენ ან სირიელები ან ბერძნები; თვით მოსკ ქორენელი თავის «სომხეთის ისტორიისათვის» ცნობებს ჰქრეფდა, როგორც თვითონ გვაჩვენებს, სხვათა შორის საბერძნეთის მატრიარქობიდან.<sup>17)</sup> თვით ალქაჯიტი დამოუკიდებლის ალქაჯიტის შემოღებამდის ანუ გაუქმობის შემდგომდის მესუთე საუკუნე, შესაძლებელია სირიასა და ბერძნების ალქაჯიტობიდან.<sup>18)</sup> ქრისტიანობის ხელი ტაძრები სომხეთში და საქართველოში შენდებოდნენ ვიზანტიის სტილზედ,<sup>19)</sup> რომელმაც შემდეგ თავის საკუთარი ხასიათი მიიღო. ვიზანტიისავე მაგალითით, როგორც სომხეთში ისე საქართველოში ფუნდებოდნენ მონასტრები და უდაბნოები, რომლებშიაც განსაკუთრებით ითარგმნებოდნენ სამღვთო წიგნები და აგრეთვე საეკლესიო და საერო მწერლების თხზულებანი. საუბისკოპოსოს კათედრები საქართველოსა და სომხეთში შირაკელად ბერძნებსა და სირიელებს ეკლავათ.<sup>20)</sup> თვით კათალიკოს-პატრიარქობად ჩვეულებრივ სომხები ეკურთხებოდნენ

<sup>16)</sup> Lebeau, Hist. du B.—E., II, 120; Langlois, Collect., II, 24; St-Martin, Mém. sur l' Arm., I, 318; Rambeau, L'Emp. byzant., 51. 52.

<sup>17)</sup> Langlois, Etudes sur les sources de l' Histoire de l' Arm. de Moïse de Khoren, in Mélanges Asiat., t. IV, livr. 3 p. 264—306.

<sup>18)</sup> St-Martin, Mém. sur l' Arm., I, 7.

<sup>19)</sup> Hist. de la Géor. II, 121, 127, 175..

<sup>20)</sup> St-mart.- Mém. sur l' Arm., I, 7—13, 306.

ზოღმე გრიგოლ განმანათლებელიდამ მოყოლებული შალაკამდის (374—378) კესარიასა ვანადოკიისასა,<sup>21)</sup> ქართველების კატოლიკოს-პატრიარქები კი, რომლებიც ვახტანგ გორგასლანის დროს ჩნდებიან (446—440) და რომელნიც ბერძენთაგანნი იყვნენ ზოღმე ფარსმან VI მეფის დრომდის (542—557) ანტიოხიიდან ინიშნებოდნენ,<sup>22)</sup> ფარსმან VI დროდამ კი დამოუკიდებელი შიქმენ და ქართველებს ირჩევდნენ.<sup>23)</sup>

მოუფლოდნელ მსოფლიო შემთხვევათა, რომელნიც ერთიმეორეს მისდევდნენ, უფრო ძალიან უნდა გაემდიერებინა კავშირი საქართველოსა და სომხეთისა ვიზანტიასთან. მე ვამბობ აქ როგორც ცნობის თაყვანის-მცემლებსეუდ, რომელთაც მრისხანე სასე მიიღეს, რაჟი სასელმწიფო ტახტზედ 233 წ. სასანიდების დინასტია<sup>24)</sup> დამყარდა, ისე ისლამზედ, რომელიც, გამომჩნდა თუ არა 622 წ., ისეთის საკვირველის სისწრაფით გავრცელდა, რომ ცხრა წლის შემდეგ მას ეჭირა მთელი არემარე სირიის შესავალიდამ მოყოლებული ეკვიპტის შუაგულამდის და აჭრავის განაპირამდის.<sup>25)</sup> ვინ არ იცის თუ ცნობის თაყვანის-მცემელი და მუსულმანები რა ნაირის განატიზმით ცდილობდნენ მთელის ქვეყნის დაჭერას. სამწუხაროდ ამას არ ვხედავთ ქრისტიანთა დასში. თუ რომ სახელმწიფოს, რომელსაც განგებისაგანა ჰქონდა ჩხობრებული მამინდელი ქრის-

<sup>21)</sup> Lebeau, Hist. du B.—E., I, 291, n. 1; II, 218; Langlois, II, 153, n. 7.

<sup>22)</sup> Hist. de la Géor., I, 191—164.

<sup>23)</sup> Ib., I, 201.

<sup>24)</sup> Labeau, Hist. du B.—E., I, 77.

<sup>25)</sup> Ib. XI, 185.



ტიანობის ბედ-იღბალი, ისევე წინდახედვით ემოქმედნა ცეცხლის თაყვანის-მცემელთ და მუსულმანთა წინააღმდეგ, როგორც უკანასკნელნი მოქმედობდნენ მის წინააღმდეგ, მაშინ ისტორიის მიმდინარეობა უკვე აღად სულ სხვა ნაირი იქნებოდა და არა ისეთი, როგორც მიმდინარეობა მან ნამდვილად მიიღო. ვიზანტიის მმართველობის სამარცხვინო პოლიტიკის ბრალად, რომ ქრისტიანობას შემდეგში ისეთი საშინელი უბედურებანი დაატყდა თავს. მან თავის ხელთ დახვრია ის, რაც მთელ თავის ღონითა და ძალით უნდა დაეთარა. სომხეთის სამეფომ, რომელიც, როგორც სამართლიანად ამბობს სენ-მარტენი, ვიზანტიისათვის აღმოსავლეთის მხრით ნამდვილი ბურჯი იყო, შესწევია. პოლიტიკური თვისი არსებობა თეოდოსი დიდის უგუნური მოქმედების გამო: ეს მოქმედება მდგომარეობდა იმაში, რომ მან 390 წ. მოაწერა ტრაქტატს ხელი სომხეთის გაყოფის შესახებ ვიზანტიისა და სპარსეთის შორის—ტრაქტატს, რომელიც ბოლოს მხოლოდ სპარსეთისათვის იყო სასარგებლო. <sup>26)</sup>

ამ გაყოფის დამღუპველნი შედეგნი ძალე გამოჩნდნენ მართვა გაყოფილის სომხეთისა ჩაბარდა სამხედრო მმართველებს, ე. ი. სპარსეთის ნახევრისა—მარზბანებს, ხოლო ვიზანტიისა—გრაჰებს ანუ დუქსებს. <sup>27)</sup> სომხეთის არშავილების დინასტია, რომელიც დაფუძნდა 150 წ. ქრ. დაბად. წინად პარტიანელი ხელმწიფის მიტრიდატ დიდის, ანუ სომხეთის

<sup>26)</sup> Lebeau, Hist. du B.—E., IV, 429—430.

<sup>27)</sup> St-Mart., Mém. sur l' Arm. I, 321; Lebeau, V, 444; VI, 32, 258, Langlois, Collect. II, 158.

მწერლების თქმით, არსასის ძმის ვაღარძაგისაგან,<sup>28)</sup> განიდევნა ღმის ადგილას დაყენებულ იქმნა ახალი დინასტია, რომლიდანაც შირველი მეფე სპარსეთის მეფის საფორის შვილი იყო.<sup>29)</sup> სპარსეთის სომხეთი აღივსო მზის თაყვანის-მცემლებით, მოგვებით და ცუცხლის მსახურთა ტაძრებით, და რომ სომხები და ბერძნები ერთმანეთისათვის დაუმორებინათ გაყოფის წინ, 369 წ. მამულის მოლაღატო მარჟუან აწრუნმა და ავღან შამიგონიანმა დასწევს სომხეთში ყველა ბერძნულის აღქაჟიტი დაწერილი წიგნები და ბრძანება გასცეს, რომ მსაღოდ სპარსეთის აღქაჟიტი ესმარათ.<sup>30)</sup> ეგესიების მართვა გამოეცა, ლათ სელიდამ გრიგოლ განმანათლებლის ჩამომავლობას და გადაქცათ უღირს სირიელებს.<sup>31)</sup> მთლად სომხეთში ატყდა დაუსრულებელი შინაგანი არეულობა, რომელსაც ხელს უწყობდნენ როგორც სპარსები, აგრეთვე ვიზანტიელები; ამ არეულობის დროს ადგილობრივი ქეოდალები, რომელთა რიცხვი მეოთხე საუკუნე მეორე ნახევარში 170-დის იყო,<sup>32)</sup> თავიანთ პირად სარგებლობას ეძებდნენ. ამ მდგომარეობისაგან შეწყურებულნი სომხები ჯგუფ-ჯგუფად სახლდებოდნენ სხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით ვიზანტიაში, სადაც სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში შედიოდნენ. ამ გადასახლებულთა რიცხვში, კედრე-

<sup>28)</sup> Lebeau, *H. du B.* — E, V, 442 n. 2; VI, 32, n. 1.

<sup>29)</sup> St-Mart., *Mém.*, I, 319; Lebeau, V, 441.

<sup>30)</sup> Lebeau III, 281, 363—364; VΠ, 260.

<sup>31)</sup> *Ib.* VI, 34, 36.

<sup>32)</sup> St-Mart., *Mém.* sur l'Arm. I, 321; Lebeau, II, 210.



ნუსის სიტყვით, კრის ორი ძმა ანშვილების სახლიდან, არტახანი და კლიენსი, რომელთაც უკანასკნელი შეიქმნა წინაპარი კოსტანტინე VII ზორობროგენისა <sup>33</sup>).

